პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 12 ივლისი, 1949 წ. № 137 (8440). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

კონტროლი პარტიულ გადაწყვეტილებათა და კომუნისტების წინადადებათა შესრულებისადმი — „პრავდის“ 11/VII მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის დაკრძალვა (მე-2 და მე-3 გვერდი).
ი. რუხაძე — თურქეთი დღეს (მე-3 და მე-4 გვერდი).
ხტალინური ავიაციის ტრადიციული დღესასწაული (მე-3 გვერდი).
პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესზე (მე-4 გვერდი).

# კონტროლი პარტიულ გადაწყვეტილებათა და კომუნისტების წინადადებათა შესრულებისადმი

საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა შინაპარტიული დემოკრატიის განუხრელად დაცვა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილ იქნას თვითეული კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიის ცხოვრებაში. შინაპარტიული დემოკრატია ხელს უწყობს საკავშირო კ. პ. (ბ) წევრების თვითმოქმედებას, მათს პასუხისმგებლობას პარტიის საქმისათვის, ხელმძღვანელებსა და პარტიულ მასებს შორის კავშირის განმტკიცებას.

შინაპარტიული დემოკრატია ყველაზე სრულად თავის გამოხატულებას პოულობს პარტიულ კრებებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე, სადაც კომუნისტები განიხილავენ პარტიული პოლიტიკის საკითხებს, ამოწმებენ პარტიული კომიტეტების მუშაობას მათი ანგარიშების მოსმენის გზით, ნაკლოვანებათა კრიტიკის გზით.

ამ განხილვის მიმდინარეობაში ხდება პარტიულ გადაწყვეტილებათა გამომუშავება, ისახება პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების სამეურნეო საქმიანობის უკეთესი ორგანიზაციის, რაიონის, ოლქის, მხარის მთელ ცხოვრებაზე პარტორგანიზაციის გავლენის გაძლიერების პრაქტიკული ღონისძიებანი. კომუნისტებს ბევრი ძვირფასი წინადადება, სურვილი, კრიტიკული შენიშვნა შემოაქვთ. არასწორი და მავნე იქნებოდა არ გაგვეთვალისწინებინა ისინი პარტორგანიზაციების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. ეს წინადადებანი მიმართულია პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისაკენ, რაზედაც დამოკიდებულია ჩვენი სამეურნეო წარმატებების სიმტკიცე.

ნახევარი წლის წინათ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რაიონული, საოლქო და სამხარეო კონფერენციები. თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შედგა პარტიული ყრილობები. პარტიულმა კონფერენციებმა და ყრილობებმა შეაჯამეს იმ დიდი და მრავალმხრივი მუშაობის შედეგები, რომელიც პარტორგანიზაციებმა ჩაატარეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მაგრამ ბოლშევიკებს არ სჩვევიათ მიღწეულით დამშვიდება. სწორედ ამიტომ, აჯამებდნენ რა ამ მიღწევებს, პარტიული კონფერენციები და ყრილობები გაბედულად ააშკარავებდნენ ნაკლოვანებებს, მიაქცევდნენ პარტიული ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმას, რომ საჭიროა ბოლშევიკურად მოეწყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა და კომუნისტების წინადადებათა შესრულება.

პარტია მთელ საბჭოთა ხალხს მოუწოდებს კიდევ უფრო ენერგიულად გააჩაღოს სამრეწველო საწარმოებში და საკოლმეურნეო სოფელში ბრძოლა სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს. საჭიროა დღითიდღე ავამაღლოთ ხელმძღვანელობის დონე, პარტორგანიზაციების მთელი მუშაობის ხარისხი.

მრეწველობაში ეს ნიშნავს იმას, რომ ფართოდ დავუჭიროთ მხარი მუშებსა და სპეციალისტებს მათს მისწრაფებაში მოაწყონ საწარმოთა რენტაბელური მუშაობა, მოგვცენ მეტი ზეგეგმითი დაგროვება, გამოუშვან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაწარმი, უზრუნველყონ წარმოების მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვა. სოფლის მეურნეობაში საჭიროა უზრუნველვყოთ გვალვის წინააღმდეგ, ყველა კულტურის უხვი და მყარი მოსავლისათვის ბოლშევიკური შეტევის წარმატება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. პარტია დიდ ამოცანებს უყენებს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებსაც, ლიტერატურას, ხელოვნებას, რომელნიც მოწოდებული არიან განავითარონ მასების კომუნისტური მსოფლმხედველობა, აღაფრთოვანონ ისინი ახალი შრომითი გმირობისათვის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლება ნიშნავს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ვაწარმოოთ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. პარტიული მასების გამოცდილების განზოგადება, კომუნისტთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარება, მათი ძვირფასი წინადადებების, კრიტიკული შენიშვნების რეალიზაცია საშუალებას იძლევა კიდევ უკეთესად გადავწყვიტოთ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები. ის ხელმძღვანელი, რომელიც მუდამ ასრულებს ამ მოთხოვნებს, გარანტირებული იქნება სერიოზული შეცდომებისაგან, არ მიეცემა თვითდამშვიდებას, შეძლებს უზრუნველყოს პარტიის დირექტივების ზუსტად შესრულება.

ამ ცოტა ხნის წინათ საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა საკავშირო კ. პ. (ბ) სვერდლოვისა და კიროვის რაიკომების ანგარიშები კომუნისტების იმ წინადადებათა და კრიტიკულ შენიშვნათა შესრულების შესახებ, რომლებიც პარტიულ კრებებზე გამოითქვა, და შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. პლენუმმა საკავშირო კ. პ. (ბ) რაიკომებისაგან და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა უკეთესად განახორციელონ კომუნისტების წინადადებანი, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ წარმატებებისაგან თავბრუდახვევასთან, თვითეული მუშაკისაგან მოითხოვონ დავალებული საქმისადმი ბოლშევიკური მოპყრობა.

მუდმივი კონტროლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, გულისხმიერი დამოკიდებულება კომუნისტთა მოთხოვნილებებისა და წინადადებებისადმი მოქნილი, ქმედითი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. „ჩვენი პოლიტიკა სწორია და ამაშია ჩვენი ძალა, — ამბობს ამხანაგი სტალინი. — მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენი პოლიტიკა ჰაერში გამოკიდებული არ აღმოჩნდეს, საჭიროა სულ ცოტა, ორი პირობა. ჯერ-ერთი, მუშაკების სწორი შერჩევა და პარტიის დირექტივების შესრულების შემოწმება. მეორე, მოქნილობა მასებისადმი ხელმძღვანელობაში და მაქსიმალური გულისხმიერება მასების მოთხოვნილებებისადმი, გულისხმიერება და კვლავ გულისხმიერება“.

სწორედ ამას სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ თათრეთში. პარტიულ გადაწყვეტილებათა და კომუნისტების წინადადებათა შესრულების შემოწმებას აქ საჭირო ყურადღება არ ექცევა. საოლქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1948 წლის გაზაფხულზე შედგა, დელეგატები მკვეთრად აკრიტიკებდნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობის ბიუროკრატიული მეთოდებისათვის, ინიციატივისა და თადარიგიანობის უქონლობისათვის. დელეგატები აგრეთვე ამბობდნენ, რომ პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტი ნაცვლად იმისა, რომ სამინისტროს მუშაკებს დავალებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ჩაუნერგოს, მეურვეობას უწევს მათ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ მკვეთრი კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა შემდეგ საოლქო კომიტეტის მთელ რიგ პლენუმებზეც. მაგრამ პარტიის საოლქო კომიტეტი ამ კრიტიკას გულგრილად ეკიდება. იგი ურიგდება იმას, რომ სამინისტროს მუშაკებს უნარი არა აქვთ წამოაყენონ და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გადაწყვიტონ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები.

საოლქო კომიტეტში საერთოდ ცუდად ეხმაურებიან რიგითი კომუნისტების სიგნალებს, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ იმ მუშაკებისადმი, რომლებიც მოწოდებული არიან უშუალოდ იმუშაონ წერილებსა და განცხადებებში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად. ამის შედეგად ზოგჯერ კომუნისტების მიერ აძრული პრინციპული საკითხები არ წყდება ან წყდება დიდი დაგვიანებით.

ჩვენი პარტია ძლიერია ნებისყოფისა და მოქმედების ერთიანობით, თვითეული კომუნისტის აქტივობით. ამის მიღწევა შეიძლება აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში კომუნისტების ფართოდ ჩაბმის გზით. პარტიული კომიტეტი, რომელიც პატივს არა სცემს საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებით კომუნისტებისათვის მინიჭებულ უფლებებს, არ ზრუნავს პარტიულ გადაწყვეტილებათა ზუსტად შესრულებისათვის, — უდისციპლინობას იჩენს, არღვევს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის პრინციპებს.

პირიქით, იქ, სადაც ზუსტად ახორციელებენ შესრულების შემოწმებას, იცავენ შინაპარტიულ დემოკრატიას და პატივს სცემენ თვითკრიტიკას, იქ ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს პარტიული მასების ინტერესთა დავიწყებას, თვითკმაყოფილებისა და თავგასულობის განწყობილებებს. კოლეგიალობის, დავალებული საქმისადმი მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში ყველა კომუნისტი გვაძლევს შეგნებული დისციპლინის, მაღალი აქტივობის მაგალითს და მოქმედებს როგორც ერთიანი, შემჭიდროებული მებრძოლი კოლექტივი, რომელსაც ძალუძს შეასრულოს ბოლშევიკური პარტიის ყოველი დავალება.

**„პრავდის“ 11/VII მოწინავე**

# ჩვენს რესპუბლიკაში

## სტახანოველ თინა ჩხენკელის წარმატება

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). გმირი ქალაქის — ლენინგრადის მშრომელთა პატრიოტული ინიციატივის პასუხად მაუდის ფაბრიკის წარჩინებულმა სტახანოველმა თინა ჩხენკელმა ვალდებულება აიღო ხუთწლედის პირადი დავალება 3,5 წელიწადში შეესრულებინა. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება მან წარმატებით განახორციელა. მიმდინარე წლის 22 ივნისისათვის თ. ჩხენკელმა სამშობლოს მისცა 50.804 მეტრი ქსოვილი და ამით მნიშვნელოვნად გადააჭარბა პირად ხუთწლიან დავალებას.

თ. ჩხენკელი ამჟამად 1951 წლის ანგარიშში მუშაობს და ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ამზადებს 45-50 მეტრ ქსოვილს.

## საკოლმეურნეო ელექტროსადგურების მშენებლობა

**ზნაური.** (საკ. კორ.). სოფელ წორბისში დაიწყო საკოლმეურნეო ელექტროსადგურის მშენებლობა. მშენებლობაზე ნაყოფიერად მუშაობენ ბეყმარის, სიხიათის, წორბისის კოლმეურნეობათა წევრები. ელექტროსადგური ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ ელექტროენერგიას მიაწვდის ყორნისის სასოფლო საბჭოში შემავალ 8 კოლმეურნეობას.

საკოლმეურნეო ელექტროსადგური შენდება აგრეთვე სოფელ ქვემო ოქონაში. ამ ელექტროსადგურიდან მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის ელექტროენერგიას მიიღებს ოქონის სასოფლო საბჭოში შემავალი 6 კოლმეურნეობა.

## ზოოვეტპუნქტები კოლმეურნეობებისათვის

**სტალინირი.** (საკ. კორ.). გრომში დაიწყო ახალი ზოოვეტპუნქტის მშენებლობა. აქვე მოეწყობა მედიკამენტების საწყობი და აფთიაქი. ეს პუნქტი მომსახურებას გაუწევს გრომისა და ბიყარის სასოფლო საბჭოებში შემავალ ყველა კოლმეურნეობას.

ზოოვეტპუნქტთან ზოოტექნიკოსებისა და ვეტექიმებისათვის შენდება საცხოვრებელი ბინები.

გაფართოვდა ლენინგორის რაიონის ლარგვისის სასოფლო საბჭოს ზოოვეტპუნქტი. ახლა აქ მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი, რომელიც უახლოეს დღეებში დამთავრდება.

## ბიბლიოთეკა კოლმეურნეობაში

**ლენინგორი.** (საკ. კორ.). სოფელ დაბაკნეთის კოლმეურნეობა უახლოეს დღეებში დაამთავრებს ახალი კეთილმოწყობილი შენობის აგებას. ამ შენობიდან ერთი დიდი ოთახი ეთმობა საკოლმეურნეო ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკისათვის შესყიდული იქნება 2.500 მანეთის პოლიტიკური, მხატვრული და აგრონომიული ლიტერატურა.

## ახალი მაღაზიები

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). სამომხმარებლო კოოპერატივების ზუგდიდის რაიკავშირმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახალი მაღაზიები გახსნა ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე ნარაზენისა და ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ინგირისა და ნარაზენის ჩაის ფაბრიკებში და სოფლებში — ოდიშსა და ცაიში.

## დიდი სამუშაოთა დღეები რუსთავში

### დღეს საგლინავშენზე

საგლინავი საამქრო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყველაზე დიდი ობიექტია. ამ ვეებერთელა საამქროს სამი კორპუსი მარტო ერთ მოწყობილობას—ბლუმინგს უკავია. საამქრომ უნდა მოგვცეს ეგრეთ წოდებული ბლუმსები. ბლუმსი ლითონის გამოკეპიტებული ისეთი ჯირკია, რომლისგანაც შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ნომენკლატურის ლითონი, ანუ, როგორც მელითონეები უწოდებენ, დანამზადი.

ბლუმინგის უბანზე ამჟამად აშენებენ გამახურებელი ჭების კორპუსს (მარტენის საამქროდან გადმოტანილი 5-6 ტონიანი ნადნობის გასაგლინავად საჭიროა ამ ნადნობის მაღალი ტემპერატურით გახურება, რათა გაგლინვა გაადვილდეს), აქვე აშენებენ ბლუმინგის სამანქანო დარბაზს, აგრეთვე სლიაბებისა და ბლუმსების საწყობს.

საგლინავი საამქროს მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი იასონ გუმბერიძე, ბლუმინგის უბნის მშენებლობას — ინჟინერი პ. ფირსინი, რომელსაც დავალებული აქვს სულ მოკლე ხანში დაავოს რამდენიმე ათასი კუბმეტრი ბეტონი სხვადასხვა დანადგართა საფუძვლების ამოსაყვანად.

მშენებლების პარალელურად აქ მუშაობენ მემონტაჟეებიც, რომელთაც ინჟინერი პ. შვეცი ხელმძღვანელობს. მათი მუშაობა ამჟამად შეფერხებულია საარმატურო რკინისა და სანიტარულტექნიკურ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მილების ნაკლებობით.

ქარხნის მშენებლობის ტრესტის ტექნიკური მომარაგების მთავარმა კანტორამ (კანტორის მმართველი ინჟინერი ბეთანელი) სასწრაფო დახმარება უნდა გაუწიოს მშენებლებს და უახლოეს კვირაში მოამარაგოს ისინი ამ მასალებით.

მხედველობაში მისაღებია ერთი გარემოებაც. საგლინავ საამქროში მოეწყოს მილსაგლინავი დანადგარი. ამ დანადგარის გასამართავად სათანადო გაბარიტის საფუძვლები მოკლე დროში უნდა გაამზადონ. საამისოდ კი საჭიროა 30.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულება და შემდგომ საბეტონო სამუშაოთა წარმოება. საარმატურო რკინის წინასწარ მოუმარაგებლობის შემთხვევაში მოსალოდნელია ამ სამუშაოს შესრულების გაჭიანურებაც.

საგლინავი საამქროს მშენებლები და მემონტაჟეები ერთმანეთს ეჯიბრებიან სამუშაოთა უმოკლეს ხანში და საუკეთესო ხარისხით შესრულებაში. შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ იმ კოლექტივებს, რომელთაც ინჟინრები ლ. ფაჩუაშვილი, ს. რაზმაძე, გ. ელენტი და კ. ვარძელაშვილი ხელმძღვანელობენ. ინჟინერი კ. ვარძელაშვილი ხელმძღვანელობს საამქროს მიწისქვეშა მეურნეობის მშენებლობას (ზეთსადენი სისტემის, ელექტროგაყვანილობის და წყალსადენი სისტემის მოწყობას).

სამუშაოთა მოცულობის მიხედვით საგლინავშენზე მიმდინარე წლის განვლილი 6 თვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, მაგრამ ამავე დროს დარღვეულია მთელ რიგ სამუშაოთა დაწყების გრაფიკი მხოლოდ იმიტომ, რომ საარმატურო რკინა და მილები თავის დროზე ვერ მიიღეს.

ბლუმინგის მონტაჟში მონაწილეობს 18 ახალგაზრდა ქართველი მეტალურგი. ეს ახალგაზრდები უნარიანად და დიდი დაინტერესებით მუშაობენ და თავისი საქმის საფუძვლიან ცოდნას იჩენენ.

**დ. ამირანიძე**

*რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად*

## ხაშურელ რკინიგზელთა საწარმოო მაჩვენებლები

**ხაშური.** (საკ. კორ.). რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალი წარმატებები მოიპოვეს ხაშურელმა რკინიგზელებმა.

საელმავლო დეპოს კოლექტივმა ექვს თვეში გაანაღდა ელმავლების აწევითი შეკეთების რვა თვის დავალება. ამასთანავე ელმავლების ტექნიკური სიჩქარე გაზრდილია მნიშვნელოვნად, „ავადმყოფი“ ელმავლების რაოდენობა ნორმასთან შედარებით შემცირებულია 52 პროცენტით და მათი დგომა აწევით შეკეთებაში 56 საათით. 6 თვის განმავლობაში მატარებლების წევაზე დაზოგილია 985.715 კილოვატსაათი ელექტროენერგია, მატერიალური რესურსების მიმოქცევის დაჩქარებით განთავისუფლებულია 50.300 მანეთი, ხოლო 5 თვეში მიღებულია 228.235 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მემანქანეებმა ი. ნემსაძემ და მ. ხიჩაკაძემ კარგი მოვლით გაახანგრძლივეს თავიანთი ელმავლების მუშაობა, რის შედეგად გაიარეს 89-100 ათასი კილომეტრი. ელმავლების გარბენაში ასევე დიდი გადაჭარბება აქვთ მემანქანეებს ა. ნემსაძეს, ვ. ბლიაძეს, გ. იკაშვილს, ბ. გელაშვილსა და სხვებს.

დეპოს საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს აწევითი საამქროს ოსტატმა ლ. ქვირიამ, ზეინკალმა ი. დავითაძემ, ჩამომსხმელმა დ. ტატიშვილმა, შემდუღებელმა ა. ქურდაძემ, მჭედელმა გ. რევაზიშვილმა და მეუროვე გ. დევაძემ.

ვადაზე ადრე გაანაღდეს 6 თვის საწარმოო დავალება ხაშურელმა მეორთქლმავლეებმაც, მაისსა და ივნისში დაზოგეს 323 ტონა საწვავი, ხოლო საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლეს 24 ათასი მანეთი.

რკინიგზელის სტალინური დღისათვის ნაკისრ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ სავაგონო დეპოს, სალიანდაგო, კავშირგაბმულობის, ბინებისა და ნაგებობათა დისტანციების, ენერგომომარაგების უბნის, სადგურის და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

## სემინარი ტექნიკურ საკითხებზე

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). პარტიის ქალაქკომის ბიუროს დადგენილებით პარტბიუროს მდივნებისათვის, მაღაროკომების თავმჯდომარეების, კომკავშირული კომიტეტების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისათვის მოეწყო სამდღიანი სემინარი ტექნიკურ საკითხებზე.

ლექციები ჩატარდა შემდეგ თემებზე: საერთაშორისო მდგომარეობა, ტექნიკური ექსპლოატაციისა და ტექნიკური უსაფრთხოობის წესების დაცვა მაღაროებში, ბრძოლა წარმოების მაღალი კულტურისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და მექანიზმების უსაფრთხოდ მუშაობა, აგიტატორის როლი წარმოებაში და სხვ.

ლექციები წაიკითხეს ინჟინრებმა მ. ბრეგვაძემ, შ. პაქსაშვილმა, ც. სახჩიძემ, გ. კაციტაძემ, შ. სუმბაძემ, გ. ბერიშვილმა და სხვებმა.

## მეცხოველეობის ფერმების აგიტატორთა რაიონული თათბირი

**სამტრედია.** (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომმა მოაწყო მეცხოველეობის ფერმებში მომუშავე აგიტატორების რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ს. ბოცვაძის მოხსენება თემაზე: „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა და აგიტატორთა ამოცანები“.

სოფელ ეწრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის აგიტატორმა ი. ეცეტაძემ, სოფელ ტოლების 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის აგიტატორმა ვ. დიდიამ და სხვებმა თათბირზე ილაპარაკეს საავიტაციო მუშაობის დარგში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის გამოცდილების შესახებ.

თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. ბ. ყურაშვილი.

## კოლმეურნეები აშენებენ ბინებს პირუტყვისათვის

**დმანისი.** (სპეც. კორ.). კოლმეურნეობებში პირუტყვის კარგად გამოზამთრებას აფერხებდა სათანადო ბინების უქონლობა. მაგრამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებში აშენდა 99 ახალი სადგომი ძროხებისათვის, 83 სადგომი 620 მუშა-პირუტყვისათვის და 29 სახბორე 1.400 სულისათვის.

წელს გათვალისწინებულია დამატებით აშენდეს ახალი ბინები 3 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. სადგომები აშენდება აგრეთვე 200 სული ღორისათვის და 2 ათასი ფრთა ფრინველისათვის.

150 სული პირუტყვისათვის კაპიტალური ბინის აგებას შეუდგა და მოკლე დროში დაამთავრებს სოფელ დმანისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა, ხოლო სოფელ ყიზილკილისის ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობაში სწრაფი ტემპით ააშენებენ ბოსელს 100 სული ძროხისათვის.

# სოციალისტური შრომის გმირები



**მ. ბ. ხუნდაძე**

ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 500 ლიმონის მოყვანისათვის.



**ვ. ქ. ფრიძევა**

ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.260 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



**ნ. ა. იურჩენკო**

ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.016 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



**ა. ს. იაიცაია**

გალის რაიონის აჩიგვარის მიქოიანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.111 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

# გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის დაკრძალვა

**სოფია**, 10 ივლისი. (საქტესი). დღეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და სამამულო ფრონტის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. დიმიტროვის ცხედარი მავზოლეუმში გადაასვენეს.

დღის 12 საათია. მწუხარე დუმილს მოუცავს სახალხო კრების მოედანი. ჟღერს სამგლოვიარო მარში. ქარი აფრიალებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სამგლოვიარო ლენტებშემოვლებულ სახელმწიფო დროშებს. სახალხო კრების შენობის შესავალთან დგას საარტილერიო ლაფეტი. მის გვერდით ჩამწკრივებულა ვასილ ლევსკის სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა საპატიო ყარაული.

12 საათი და 01 წუთია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვილკო ჩერვენკოვი, გიორგი ჩანკოვი, ანტონ იუგოვი, გიორგი დამიანოვი, ვლადიმერ პოპტომოვი და დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე მინჩა ნეიჩევი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი ფრთხილად იღებენ გ. მ. დიმიტროვის კუბოს და გამოაქვთ იგი სახალხო კრების დარბაზიდან, სადაც სამი დღისა და სამი ღამის განმავლობაში ბულგარეთის მშრომელნი ეთხოვებოდნენ თავის დიდ შვილს, ბელადსა და მასწავლებელს.

სამგლოვიარო პროცესია ნელა მიემართება 9 სექტემბრის სახელობის მოედნისაკენ, სადაც აშენებულია დროებითი მავზოლეუმი. კუბოს თავდახრილნი მიჰყვებიან განსვენებულის მეუღლე და მეგობარი როზა დიმიტროვა შვილებით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის დელეგაციათა წევრები, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. თ. ბოდროვი, რუმინეთის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პეტრუ გროზას მეთაურობით და მოძმე კომუნისტური პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელები — მორის ტორეზი, ლუიჯი ლონგო, ჰარი პოლიტი და სხვები. მათ მიჰყვებიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წევრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, სამამულო ფრონტის ნაციონალური საბჭოს მდივნები, დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

სოფიას ღრუბლები ჩამოსწოლიან. წინწკლავს. თითქოს მთელ ბულგარელ ხალხთან ერთად ბუნებაც გლოვობს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საქმისათვის მამაცი და მტკიცე მებრძოლის დაკარგვას. კუბოს წინ მიაქვთ გვირგვინი ამხანაგ ი. ბ. სტალინისაგან, გვირგვინები საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამამულო ფრონტის ნაციონალური საბჭოს, უცხოეთის დელეგაციების, დიპლომატიური კორპუსისა და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. შემდეგ მიდის მედროშეთა კოლონა. დროშების შემდეგ მიაქვთ გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის დიდი პორტრეტი შემოვლებული შავი კრეპით, ლენინის ორდენი, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა გ. მ. დიმიტროვი, ბულგარეთისა და სხვა ორდენები.

12 საათი და 20 წუთია. სამგლოვიარო კორტეჟი მივიდა 9 სექტემბრის სახელობის მოედანზე. გაისმის ქარხნების, ფაბრიკებისა და ორთქლმავლების ხანგრძლივი საყვირები. სოფიის მუშათა კლასი და მშრომელები უკანასკნელ გამოსათხოვარ სალუტს აძლევენ თავიანთ მეგობარს, მასწავლებელსა და ბელადს. მოედანზე გაისმის თვითმფრინავების გუგუნი. 3 ათასი კაცისაგან შემდგარი ნაკრები გუნდი მღერის „მსხვერპლად დაეცით“.

კუბო გადმოაქვთ ლაფეტიდან და დგამენ ამაღლებულ ადგილზე მავზოლეუმის წინ. ტრიბუნაზე ადიან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვილკო ჩერვენკოვი და გიორგი ჩანკოვი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, განსვენებულის ქვრივი რ. დიმიტროვა, სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის მშრომელთა დელეგაციები, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წევრები, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. თ. ბოდროვი, სამამულო ფრონტის ნაციონალური საბჭოს მდივნები, რუმინეთის მთავრობის დელეგაცია, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

იწყება სამგლოვიარო მიტინგი. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და სამამულო ფრონტის ნაციონალური საბჭოს სახელით სიტყვით გამოვიდა ვილკო ჩერვენკოვი.

## ვილკო ჩერვენკოვის სიტყვა

ამა წლის 2 ივლისს, ამბობს ვილკო ჩერვენკოვი, შეწყდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, სამამულო ფრონტისა და მთელი მშრომელი ბულგარელი ხალხის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის მგზნებარე გულისცემა. დაასრულა თავისი ცხოვრების გზა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გმირმა მედროშემ და ტრიბუნმა, მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლმა. სამუდამოდ დახუჭა თვალი ლენინისა და სტალინის ერთგულმა და გამოჩენილმა თანამებრძოლმა, ურყევმა და ბოლომდე თანმიმდევარმა პროლეტარულმა რევოლუციონერ-ბოლშევიკმა, ჩვენმა მშობლიურმა გიორგი დიმიტროვმა.

უდიდესი მწუხარებით თავს ვხრით დიმიტროვის კუბოს წინაშე, დიმიტროვისა, რომელიც ურყევი ნებისყოფით, სიმტკიცითა და რევოლუციური მგზნებარებით, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებისადმი უსაზღვრო ერთგულებით, უდიდესი ორგანიზატორული ნიჭით თანდათანობით ახორციელებდა ჩვენი კომუნისტური პარტიის ბოლშევიზაციას, ზრდიდა მას ხალხის მტრებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ქმნიდა მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინურ მებრძოლ ავანგარდს, რომელსაც უნარი ექნებოდა თავისი დროშების ქვეშ დაერაზმა მშრომელები, წაეყვანა ისინი კაპიტალიზმის ექსპლოატაციის ბორკილებისაგან განთავისუფლებისათვის წარმატებით საბრძოლველად, სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

დღეს ჩვენ დროშებს ვხრით იმ ადამიანის კუბოს წინაშე, რომელმაც ჩვენი სამშობლო ასახელა მთელ მსოფლიოში. არც ერთ ბულგარელს დღემდე არ გაუკეთებია ბულგარეთის განვითარებისათვის იმდენი, რამდენიც ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გააკეთა.

უკლებლივ მთელი თავისი სიცოცხლე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა მოახმარა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელებისადმი და მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი ერთგულ და თავდადებულ სამსახურს. მას არ ჰქონდა არავითარი სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა. მას არ ჰქონდა სხვა სიცოცხლე, გარდა სიცოცხლისა პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის, სოციალიზმის გასამარჯვებლად ბრძოლისათვის.

გიორგი დიმიტროვის სიკვდილი განსაკუთრებით მძიმე დანაკლისია ჩვენი ხალხისათვის. ამას გრძნობს და განიცდის ყველა პატიოსანი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში.

ამხანაგი გიორგი დიმიტროვი მოკვდა, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობს. იგი ცოცხლობს მის მიერ შექმნილ და აღზრდილ, მძლავრ და ერთიან, გრანიტივით მტკიცე ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ფოლადისებურ რიგებში. იგი ცოცხლობს ჩვენს სახელოვან მუშათა კლასში, მშრომელ გლეხობაში, სახალხო ინტელიგენციაში, მათს ურღვევ ერთიანობაში, რაც განსახიერებულია სამამულო ფრონტში. ეს საქმე ცოცხლობს სახალხო ახალგაზრდობაში, იგი ცოცხლობს სამშობლოსადმი ერთგული თვითეული მშრომელის გულში.

ჩვენი საყვარელი მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ გიორგი დიმიტროვის კუბოს წინაშე ჩვენ ვფიცავთ, რომ დიმიტროვისებური ენერგიით, უშიშრად, უყოყმანოდ წავალთ წინ მის მიერ ნაჩვენები გზით. ტყუილად უხარიათ მტრებს დიმიტროვის სიკვდილი. მისი საქმე მტკიცე, საიმედო, შეუდრეკელ ხელშია. ვფიცავთ, რომ მთელს ჩვენს ძალებს და, თუ საჭირო იქნება, ჩვენს სისხლსაც, წვეთ-წვეთობით, არ დავიშურებთ, მაგრამ თვალის ჩინივით გავუფრთხილდებით გიორგი დიმიტროვის საქმეს, წავალთ მის მიერ ნაჩვენები გზით, შევასრულებთ მის ანდერძს.

როგორც ჩანს, ჩვენი მტრები ჯერ კიდევ ანგარიშს არ აძლევენ თავიანთ თავს იმაში, თუ რას წარმოადგენს ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რა შეუძლია მას. ჩვენი საყვარელი და რკინისებური ბელადი აღარ არის ჩვენს შორის. მაგრამ ცოცხალია პარტია, რომელიც მან შექმნა და აღზარდა. ცოცხალია, მუშაობს და დიმიტროვისებურად იმუშავებს მისი ხელმძღვანელობით გამოზრდილი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ცოცხალია სამამულო ფრონტი, დარაზმული, როგორც არასოდეს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენი მასწავლებლისა და ბელადის სიკვდილმა უფრო მეტად შეამჭიდროვა ჩვენი რიგები.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა ჩვენ გვიანდერძა თავისი მშვენიერი სიცოცხლე, როგორც ხალხისადმი უსაზღვრო სამსახურის ნიმუში. ვფიცავთ, რომ დავიცავთ მის ანდერძს, წავალთ მის მიერ ნაჩვენები გზით და ერთი ნაბიჯითაც არ გადავუხვევთ მას.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა მთელი ძალებით განვამტკიცოთ ურღვევი მეგობრობა დიდ საბჭოთა კავშირთან, მტკიცედ ვითანამშრომლოთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, ვინაიდან ეს არის ჩვენი ნაციონალური დამოუკიდებლობის მთავარი გარანტია. ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა გვიანდერძა დაუნდობლად ვიბრძოლოთ გამცემლური ნაციონალიზმის ყველა და ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, გვიანდერძა ვიყოთ ბოლომდე ერთგულნი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, დიადი ბოლშევიკური პარტიისა, ამხანაგ სტალინისა. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ შენი ეს ანდერძი ჩვენთვის ყველაზე წმინდა იქნება და ამ ანდერძს ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა გავუფრთხილდეთ და მთელი ძალებით დავიცვათ ჩვენი სამშობლოს ნაციონალური დამოუკიდებლობა და სახელმწიფო სუვერენიტეტი ყოველგვარი იმპერიალისტური ხელყოფისაგან. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მეორე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა მტკიცედ ვიდგეთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, და გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მესამე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა დავიცვათ კომუნისტური პარტიის მარქსისტულ-ლენინური ერთიანობა და მისი რიგების სიწმინდე, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ მისი კავშირი მშრომელებთან. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მეოთხე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა ურღვევად დავიცვათ და მთელი ძალებით განვამტკიცოთ მუშათა კლასის საბრძოლო და ძმური კავშირი მშრომელ გლეხობასთან, რომელიც სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ხერხემალია. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მეხუთე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა გავაფართოოთ და გავაძლიეროთ სამამულო ფრონტი — ქალაქისა და სოფლის მუშათა და ყველა მშრომელთა საბრძოლო კავშირის ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც სახალხო დემოკრატიული ხელისუფლების ყველაზე ფართო საზოგადოებრივი საფუძველია. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მეექვსე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა მხურვალედ გვიყვარდეს ჩვენი ხალხი, ჩვენი სამშობლო, ულმობელნი ვიყოთ ხალხის მტრებისა და სახალხო ხელისუფლების მტრებისადმი, უცხოეთის აგენტებისა და ჯაშუშებისადმი, გამოვიჩინოთ სიფხიზლე მათ მიმართ. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მეშვიდე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა ვიყოთ ყურადღებიანი და გულისხმიერნი ხალხის საჭიროებისადმი, ყური დავუგდოთ მის ხმას, არა მარტო ვასწავლოთ მშრომელებს, არამედ ვისწავლოთ კიდეც მათგან, სწრაფად გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მერვე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა უზრუნველვყოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, რისთვისაც დავეყრდნოთ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერას, მუდამ ვსწავლობდეთ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გამოცდილებას. გეფიცებით შენ, საყვარელო მასწავლებელო, რომ არ დავიშურებთ ძალებს, არ შევჩერდებით არავითარი სიძნელეების წინაშე, რათა შევასრულოთ ეს შენი მთავარი ანდერძი.

ამხანაგმა გიორგი დიმიტროვმა გვიანდერძა ვსწავლობდეთ საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელისაგან — დიადი ბოლშევიკური პარტიისაგან, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობს. გეფიცებით შენ, ამხანაგო გიორგი დიმიტროვ, რომ ეს იქნება ჩვენთვის შენი მეცხრე წმინდა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევასრულებთ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება ყველაზე საუკეთესო ძეგლი იქნება გიორგი დიმიტროვისათვის, რომლის სახელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხები უსაზღვრო სიყვარულით წარმოთქვამენ.

საუკუნეებში იცოცხლოს ბულგარეთის დიდი შვილის გიორგი დიმიტროვის სახელმა! საუკუნოდ იყოს მისი დიდება!

დღეგრძელობა და გამარჯვება ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სამამულო ფრონტს!

გაუმარჯოს ბულგარელ მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს და ბელადს, მთელი პროგრესული კაცობრიობის მასწავლებელსა და ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

## ბულგარეთის არმიისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა სიტყვები

შემდეგ სიტყვები ეძლევათ ბულგარეთის სახალხო არმიის წარმომადგენელს, თავდაცვის მინისტრს გენერალ-ლეიტენანტ გიორგი დამიანოვს, ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის გენერალურ მდივანს გიორგი ტრაიკოვს და საყოველთაო მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს რაიკო დამიანოვს.

ფიცი დასდეს, რომ შეასრულებენ გიორგი დიმიტროვის ანდერძს: ქალთა სახელით — ბულგარეთის ქალთა სახალხო კავშირის თავმჯდომარემ ცოლა დრაგოიჩევამ, სახალხო ახალგაზრდობის სახელით — სახალხო ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარემ ჟივკო ჟივკოვმა და საბავშვო ორგანიზაციის „სეპტემვრიიჩეს“ წარმომადგენელმა.

## კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„ძვირფასო ამხანაგებო, ბულგარეთის მოქალაქენო, მოძმე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, ლენინ-სტალინის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები, ოფიცრები, ადმირალები და გენერლები და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელები ბულგარელ ხალხთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად დიდი მწუხარებით განიცდიან ბულგარელი ხალხის დიდი შვილის, ჩვენი მებრძოლი ამხანაგის, ერთგული მეგობრის გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის გარდაცვალებას.

ჩვენგან წავიდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მოწაფე და თანმიმდევარი, ბულგარელი ხალხის ბელადი და მასწავლებელი, სახალხო დემოკრატიული ბულგარეთის შემქმნელი, საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობარი, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მგზნებარე და უშიშარი მებრძოლი.

ჭაბუკობის წლებიდან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი მთელ თავის ძალებს მებრძოლი რევოლუციონერის მთელ თავის ენერგიას ახმარდა მუშათა კლასის დიად საქმეს. მთელი თავისი ხანგრძლივი, 50 წელზე მეტი ხნის რევოლუციური გზა ამხანაგმა დიმიტროვმა განვლო მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, დაუღალავად იბრძოდა ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის.

ამხანაგ დიმიტროვს ყველა რევოლუციურ ბრძოლაში, მძიმე დამარცხებების წლებში და დიად გამარჯვებათა წლებში ყოველთვის მაღლა ეჭირა მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის დროშა.

გამოჩენილი მარქსისტი, ლენინელი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი დიმიტროვი ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, ბულგარეთის პროლეტარიატს ზრდიდა ლენინისა და სტალინის მოძღვრებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

იგი აერთიანებდა ბულგარელ ხალხს და აღაფრთოვანებდა მას უცხოელ და ბულგარელ კაპიტალისტთა და მათ დამქაშთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშათა კლასის მტრებს უსაზღვროდ სძულდათ ამხანაგი დიმიტროვი, ისინი მასში ხედავდნენ სახალხო ტრიბუნს, მშრომელი მასების მგზნებარე ბელადს და სასტიკად სდევნიდნენ ყოველ ნაბიჯზე. ორჯერ, 1923 და 1926 წლებში ბულგარეთის ფაშისტმა მმართველებმა დაუსწრებლად მიუსაჯეს ამხანაგ დიმიტროვს სიკვდილი. პირუტყვული შიში აიძულებდა გონებადაკარგულ კაპიტალისტებს ჩაედინათ საზიზღარი საქმე, მათ სურდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოესპოთ მგზნებარე ტრიბუნი და მშრომელთა საქმისათვის მებრძოლი. მაგრამ ვერც დაპატიმრებებმა, ვერც სასიკვდილო განაჩენებმა ვერ გასტეხეს გიორგი დიმიტროვის რკინისებური ნებისყოფა და დაუცხრომელი სული. პირიქით, იგი ამ დევნამ გამოაწრთო და გახადა უფრო მრისხანე და ულმობელი მებრძოლი მუშათა კლასის კაპიტალისტ-მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

1923 წელს, როცა ბულგარეთის ხალხთა მასების აღშფოთება ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცა, გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი სათავეში ჩაუდგა მთავარ რევოლუციურ კომიტეტს და მშრომელი ხალხი წაიყვანა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს პირველი რევოლუციური იერიში ბურჟუაზიამ მაშინ მოიგერია მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისა და მუშათა კლასის სხვა მოღალატეებისა და გამცემლების დახმარებით.

ამხანაგი დიმიტროვი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო საზღვარგარეთ. მაგრამ ემიგრაციაში ყოფნისას მან უფრო მეტი ენერგიით გააჩაღა რევოლუციური მოღვაწეობა.

მთელ მსოფლიოს ახსოვს გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის გმირული საქციელი ლაიფციგის პროცესზე 1933 წელს. ფაშისტ ავაზაკთა წინაშე თავისი რევოლუციური უშიშარობით ამხანაგმა დიმიტროვმა, რომელიც მათი ტყვე იყო, გვიჩვენა ბოლშევიკური სიმტკიცისა და იდეური რწმენის დაუვიწყარი მაგალითი. ამ პროცესზე მან განაცხადა:

„მართალია, რომ მე ბოლშევიკი, პროლეტარული რევოლუციონერი ვარ... მე მართლაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აღფრთოვანებული მომხრე და თაყვანისმცემელი ვარ, ვინაიდან ეს პარტია მართავს მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანას, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილს და დიდი ბელადის სტალინის მეთაურობით გმირულად და წარმატებით აშენებს სოციალიზმს“.

ამ სიტყვებში გამოიხატა ამხანაგ დიმიტროვის, ნამდვილი კომუნისტისა და უშიშარი მებრძოლის მთელი მშვენიერი სახე. როგორც ჭეშმარიტმა გმირმა, მან გაბედულად ჩამოგლიჯა ნიღაბი ფაშისტ პროვოკატორებს და ისინი მთელი მსოფლიოს წინაშე სამარცხვინო ბოძზე გააკრა. ბრალდებულიდან იგი გადაიქცა ფაშიზმის მრისხანე ბრალმდებლად და მაღლა ასწია სისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივნის მაღალ პოსტზე არჩევის შემდეგ გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი შეუპოვრად იბრძოდა, რათა შექმნილიყო და განმტკიცებულიყო ერთიანი პროლეტარული და სახალხო ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც გამალებით ამზადებდნენ მაშინ გერმანიის, იტალიის, იაპონიის მმართველი ხროვები ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა დახმარებით. ამხანაგი დიმიტროვი ულმობლად ამხილებდა ფაშისტ აგრესორებს. იგი მოუწოდებდა ყველა ქვეყნის მშრომელებს დარაზმულიყვნენ კომუნისტური პარტიების გარშემო და ყოველთვის მზად ყოფილიყვნენ ომის გამჩაღებელთათვის გამანადგურებელი პასუხის გასაცემად. მან ბევრი რამ გააკეთა კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად, რომელნიც ერთგულნი არიან მარქსიზმ-ლენინიზმისა, ხალხის მასების ინტერესთა დაცვის საქმისა.

დიდია ამხანაგ დიმიტროვის დამსახურება მძლავრ ანტიფაშისტურ მოძრაობაში, ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს გაჩაღდა ყველა ქვეყანაში.

ამხანაგი დიმიტროვი, იყო რა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი მოღვაწე, განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა თავისი სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი.

ბულგარეთის კომუნისტები, პარტიზანული რაზმები, ყველა ბულგარელი პატრიოტი, რომლებიც იარაღით ხელში აღსდგნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, მუდამ გრძნობდნენ ამხანაგ დიმიტროვის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას. იგი აღანთებდა ბულგარელ პატრიოტთა გულს მტრისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლების რწმენით, ფაშიზმის გარდუვალი განადგურების რწმენით, გამარჯვების რწმენით.

საბჭოთა არმია, რომელმაც გაანადგურა ფაშისტური გერმანიის მთავარი შეიარაღებული ძალები, შევიდა ბულგარეთის ტერიტორიაზე როგორც მისი განმათავისუფლებელი. ბულგარელი ხალხი ძმასავით შეხვდა საბჭოთა არმიას. მან შეიარაღებული აჯანყება მოაწყო ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ და 1944 წლის 9 სექტემბერს ამხანაგ დიმიტროვის ხელმძღვანელობით განახორციელა რევოლუციური გადატრიალება და ხელთ აიღო ძალაუფლება.

ბულგარელმა ხალხმა, რომელსაც ბულგარეთის კომუნისტური პარტია მეთაურობს, ამხანაგ დიმიტროვის ხელმძღვანელობით შექმნა სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. ბულგარეთის ცხოვრებაში დადგა ახალი ხანა — სოციალიზმის მშენებლობისა და საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ურღვევი მეგობრობის ხანა.

განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა ამხანაგი დიმიტროვი მოზარდ თაობას. ლენინისა და სტალინის ერთგული და მგზნებარე თანმიმდევარი, იგი, როგორც ბულგარელი ხალხის ჭეშმარიტი ბელადი, ბავშვებსა და ჭაბუკებში ხედავდა თავისი ქვეყნის მომავალს, მუდამ ზრუნავდა, რომ ისინი აღზრდილიყვნენ სოციალიზმის აქტიურ მშენებლებად.

ამხანაგი დიმიტროვი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალს ახალ საზოგადოების მშენებლობაში და [illegible] სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სოციალიზმის მშენებლობაში ქალი დიდი ძალაა. გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვს ქალები უმადლიან იმას, რომ ისინი გახდნენ დიდ ძალად თავიანთ სახელმწიფოში, ეზიარნენ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ნამდვილად ჩადგნენ მამაკაცებთან ერთ მწკრივში ახალი ბულგარეთის მშენებლობის ყველა დარგში.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო, მოქალაქენო!

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის სახელი უსაზღვროდ ძვირფასი და მახლობელია ყველა მშრომელისათვის.

მისი სახით მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა დაკარგა ერთ-ერთი გამოჩენილი და სახელოვანი მოღვაწე, ამხანაგ სტალინის მებრძოლი მოწაფე, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი.

პროლეტარული რევოლუციონერის მისთვის ჩვეული მგზნებარებითა და თანმიმდევრობით იგი ამხილებდა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა ხრიკებს, რომლებიც ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ.

ამხანაგი დიმიტროვი, მოვალეობისა და პატიოსნების ეს ჭეშმარიტი რაინდი, ულმობელი იყო სოციალიზმის მოღალატეებისა და გამცემლების წინააღმდეგ. ყველასათვის ცნობილია, თუ რა მკაცრი პრინციპულობით შერისხა ამხანაგმა დიმიტროვმა ტიტოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხროვა, რომელმაც უღალატა სოციალიზმის საქმეს.

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი მხურვალედ უყვარს მთელ საბჭოთა ხალხს. საბჭოთა კავშირის ხალხთა ეს სიყვარული მან მოიხვეჭა თავისი დაუღალავი ბრძოლით მუშათა კლასის საქმისათვის, თავისი ერთგულებით ლენინ-სტალინის მოძღვრებისადმი. გიორგი დიმიტროვი იყო საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობარი, ჩვენი ძვირფასი ძმა და ამხანაგი რევოლუციურ ბრძოლაში.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი. ბულგარელმა ხალხმა დაკარგა თავისი მასწავლებელი და ბელადი. მაგრამ ამხანაგმა დიმიტროვმა ბულგარელ ხალხს დაუტოვა დიდი მემკვიდრეობა, — მისი ხელმძღვანელობით შექმნილი თავისუფალი ბულგარეთის ახალი სახალხო დემოკრატიული სახელმწიფო, მის მიერ შექმნილი სამამულო ფრონტი, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტკიცე კავშირს, მის მიერ აღზრდილი და მტკიცედ შემჭიდროებული ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომელიც კვლავაც წაიყვანს ბულგარელ ხალხს ლენინისა და სტალინის გზით, სოციალიზმის მშენებლობის გზით, იმ გზით, რომლითაც განუხრელად მიდიოდა ბულგარელი ხალხის დიდი შვილი ამხანაგი დიმიტროვი.

ბულგარეთის მშრომელნი მარტონი როდი არიან. ამხანაგმა დიმიტროვმა და ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ბულგარელი ხალხი ცხოვრობდეს და იზრდებოდეს დიდ საბჭოთა კავშირთან ურღვევი და საუკუნო მეგობრობის სულისკვეთებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ძმურ ურთიერთობაში.

ამხანაგ დიმიტროვის კუბოსთან მილიონობით ადამიანები ფიცს სდებენ, რომ ბოლომდე ერთგული იქნებიან სოციალიზმის საქმისა, ინტერნაციონალიზმის საქმისა, ლენინ-სტალინის დიადი იდეებისა.

ბულგარელი ხალხის დიდი შვილის გიორგი დიმიტროვის ნათელი და მკაფიო ცხოვრება აღმაფრთოვანებელი მაგალითი იქნება მთელ მსოფლიოში კომუნიზმის მებრძოლთათვის.

მთელი მსოფლიოს მშრომელნი თავიანთ შემტევ წინსვლაში კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში სამუდამოდ შეინახავენ თავიანთ გულში გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის — მგზნებარე ტრიბუნისა და კომუნიზმისათვის უშიშარი მებრძოლის ნათელ და კეთილშობილურ სახეს.

საუკუნო დიდება შენ, ლენინ-სტალინის საქმისათვის დიდო მებრძოლო!

შენი ხსოვნა უკვდავია!

## უცხოეთის დელეგაციების წარმომადგენელთა სიტყვები

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის და პოლონეთის სეიმის ვიცე-მარშალის რომან ზამბროვსკის გამოსვლის შემდეგ, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ვ. სარიჩევამ მოსკოვის მშრომელთა ძმური სამძიმარი გამოთქვა.

შემდეგ სიტყვა მიეცა იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილეს ლუიჯი ლონგოს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვასილ ლუკას. ლენინგრადის მშრომელთა სახელით სიტყვით გამოვიდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. პ. შჩერბაკოვი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის რუდოლფ სლანსკისა და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ენე გარეს გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა უკრაინის მშრომელთა დელეგატს, უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საქალაქო კომიტეტის მდივანს პ. ი. კორნიცკის.

შემდეგ სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ: ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ურიბე, საბერძნეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი პარცალიდისი, ინგლისის კომპარტიის გენერალური მდივანი ჰა-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ. მ. დიმიტროვის დაკრძალვა

(დასასრული)

რი, პოლიტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვილჰელმ პიკი, იუგოსლავიის პოლიტემიგრანტთა წარმომადგენელი ბულგარეთში რატომირ ანდრიჩი, აგრეთვე ალბანეთის, ავსტრიის, ბელგიის, შვეციის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, დანიის, ავსტრალიის, არგენტინის, ისრაელისა და ვენესუელის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები.

15 საათი და 45 წუთია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს გ. მ. დიმიტროვის კუბო შეაქვთ მავზოლეუმში. სამ წუთს გრძელდება საყოველთაო დუმილი, შემდეგ მოედანზე გუგუნებს „ინტერნაციონალის“ მძლავრი ხმები. ისინი უერთდებიან სამრეწველო საწარმოთა საყვირებს და ქვემეხთა ზალპებს.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო, გიორგი დიმიტროვ!

დაკრძალვის შემდეგ გაიმართა სოფიის მშრომელთა მრავალათასიანი სამგლოვიარო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის სხვა ქალაქებისა და სოფლების დელეგაციებმა.

# ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილება გ. მ. დიმიტროვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

**სოფია,** 10 ივლისი. (საქდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გ. მ. დიმიტროვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

გ. მ. დიმიტროვის ცხედრის შესანახად გადაწყდა 9 სექტემბრის სახელობის მოედანზე, ახლანდელი დროებითი მავზოლეუმის ადგილას, აშენდეს მუდმივი მავზოლეუმი. სოფიაში დაიდგმება გ. მ. დიმიტროვის ძეგლი, დაწესდება გიორგი დიმიტროვის ორდენი, რომელიც უმაღლესი ჯილდო იქნება ბულგარეთში. ოპოლჩენის ქუჩაზე № 66 სახლში, სადაც გ. მ. დიმიტროვი ცხოვრობდა, მოეწყობა მუზეუმი.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა ქალაქ პერნიკს ეწოდოს ქალაქი დიმიტროვო. ამხ. გიორგი დიმიტროვის სამშობლო სოფელში — რადომირის ოკოლიის სოფელ კოვაჩევცში გადაწყდა აიგოს სამკითხველო — გიორგი დიმიტროვის ძეგლი. გიორგი დიმიტროვის სახელი მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო აკადემიას. სოფიის მესამე რაიონს ეწოდა დიმიტროვის რაიონი. გადაწყდა ბავშვთა ქალაქს, რომელიც სოფიის ოკოლიის სოფელ პანჩარევოში შენდება, ეწოდოს გიორგი დიმიტროვის სახელი. გადაწყდა გამოიცეს გ. მ. დიმიტროვის თხზულებათა სრული კრებული.

მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის საქმეთა კომიტეტთან შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეაგროვოს მუზეუმისათვის მასალები გ. მ. დიმიტროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

# გ. მ. დიმიტროვთან მთელი ხალხის გამოთხოვების უკანასკნელი დღე

**სოფია,** 10 ივლისი. (საქდესი). დღეს დილის 4 საათზე დამთავრდა ბულგარელი ხალხის გამოთხოვება თავის დიდ და საყვარელ შვილთან გიორგი დიმიტროვთან.

სამი დღისა და სამი ღამის განმავლობაში ბულგარელი ხალხის მასწავლებლისა და ბელადის კუბოსთან გაიარეს სოფიის 350 ათასზე მეტმა მშრომელმა და ბულგარეთის ქალაქების, სოფლებისა და მშენებლობების მრავალრიცხოვანმა დელეგაციებმა.

უსაზღვროა ხალხის მწუხარება. მაგრამ მის რიგებში არ არის სასოწარკვეთილება. მუშებმა, გლეხებმა, ხელოსნებმა, სახალხო ინტელიგენციამ თავისი ბელადის კუბოსთან საზეიმო ფიცი დადეს, რომ შეასრულებენ მის ანდერძს, იქნებიან ერთგულნი კომუნისტური პარტიისა — ბულგარეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ავანგარდისა, თავდადებით დაიცავენ თავიანთი ქვეყნის ნაციონალურ დამოუკიდებლობას, სამუდამოდ დაიცავენ ერთგულებას საბჭოთა კავშირისადმი, სახელოვანი საკავშირო კომუნისტური პარტიისადმი და დიდი სტალინისადმი, ვისი ერთგული მოწაფე და თანამებრძოლიც იყო გიორგი დიმიტროვი.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან სოფიაში ჩამოვიდნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები. ისინი ღრმად სწუხან საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ფაშიზმის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლის დაკარგვას და თავიანთ სიყვარულსა და პატივისცემას უცხადებენ მას.

გ. მ. დიმიტროვის კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგნენ: საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი, იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ლუიჯი ლონგო, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ენრიკე ლისტერი, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი დიმიტრიოს პარცალიდისი, ინგლისის კომპარტიის გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, ჰოლანდიის, ბელგიის, დანიის კომუნისტური პარტიების, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები და სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარგზავნილები.

# სტალინური ავიაციის ტრადიციული დღესასწაული

### საუბარი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის დღესასწაულის მთავარი ხელმძღვანელის მოადგილესთან ავიაციის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. სტალინთან

საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები შეუდგნენ ენერგიულ მზადებას თავიანთი ტრადიციული დღესასწაულის — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისათვის. წითელი საჰაერო ფლოტის შექმნის 15 წლისთავთან დაკავშირებით 1933 წელს დაწესებული ეს დღე წელს აღინიშნება იმ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში, რომლებსაც საბჭოთა ადამიანებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს. ეს წარმატებანი ნაყოფია იმ მილიონობით საბჭოთა მშრომელის შთაგონებული შრომისა, რომლებიც ახორციელებენ გრანდიოზულ სტალინურ დასახულობებს, წარმატებით აშენებენ კომუნიზმის დიად შენობას.

ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გახდა მძლავრი და ურყევი საავიაციო სახელმწიფო, რომელმაც განახორციელა მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გიგანტური მიღწევები.

რუსეთმა ყველა ქვეყანაზე ადრე ჩაუყარა საფუძველი საავიაციო მეცნიერებას, გაიარა გზა მსოფლიოში პირველი, ჰელიკოპტერიდან, რომელიც შექმნა გენიალურმა რუსმა მეცნიერმა ლომონოსოვმა, მოჟაისკისა და გრიგოროვიჩის თვითმფრინავებიდან კრიაკუტნის, ილინსკაიას და ნესტეროვის გაფრენებიდან, რომლებმაც მრავალი ათეული წლით გაუსწრეს ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ავიატორებს, საბჭოთა კონსტრუქტორების პოლიკარპოვის, პეტლიაკოვის, ტუპოლევის, ილიუშინის, ლავოჩკინის, იაკოვლევის, მიქოიანის, არხანგელსკისა და სხვების ზემძლავრ, ჩქარ და რეაქტიულ თვითმფრინავებამდე.

საბჭოთა ავიაციის მთელი განვითარება, მსოფლიოში საუკეთესო მანქანების შექმნაში მიღწეული ყველა წარმატება განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან. დიდი ბელადი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს საბჭოთა კონსტრუქტორების მუშაობას, ეხმარება მათ. სტალინური ხუთწლედების მანძილზეც, დიდი სამამულო ომის პერიოდშიც ჩვენ არ გვქონია თვითმფრინავი, რომელშიც ამა თუ იმ სახით არ განხორციელებულიყო ამხანაგ სტალინის მითითებანი.

ჩვენს ქვეყანაში ასობით, ათასობით გამოიზარდნენ ჰაერის დევგმირები, ისეთები, როგორც ჩკალოვი, გრომოვი, კოკინაკი, საფონოვი, პოკრიშკინი და სხვები. ისინი იყვნენ, ომისწინა წლებში რომ წაართვეს კაპიტალისტურ ქვეყნებს ყველა მსოფლიო საავიაციო რეკორდების მეტი ნაწილი, და მრავალ ასჯერ გადააჭარბეს საერთაშორისო მიღწევებს.

აი ამიტომ საბჭოთა ხალხმა ნიშნად მადლობისა ამხანაგ სტალინისადმი ავიაციის განვითარებისათვის მისი ზრუნვის გამო ჩვენს ავიაციას სტალინური ავიაცია უწოდა, ხოლო მის მფრინავებს — სტალინური შევარდნები.

საბჭოთა ხალხის შვილებმა დიდი სამამულო ომის დროს ისტორიაში უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს. ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს უშიშარი სტალინური შევარდნების — გასტელოს, ტალალიხინის, ხარიტონოვის, სუპრუნის, ბალტიელების იგაშოვის, ანტონენკოს, ბრინკოს, შავზღვეღების ივანოვის, წურწუმიას, ჩრდილოეთზღვეღების საფონოვის, სგიბნევის, ფრანცევისა და სხვათა სახელებს. ჩვენ სიამაყით ვახსენებთ აგრეთვე მფრინავებს, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს დიდი სტალინის დავალება — ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში, ომის პირველ თვეებში, მათ ჩააქრეს ბერლინის შუქი, მსოფლიოში პირველებმა დაბომბეს ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის მთელი რიგი სამხედრო ობიექტები.

სამშობლომ, პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა მფრინავების გმირობას. 200 ათასამდე ავიატორი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათგან 2.100 კაცს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, 61 მფრინავს — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო ალექსანდრე პოკრიშკინსა და ივანე კოჟედუბს — სამგზის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დიდი სამამულო ომის გამოცდილებით აღჭურვილი საბჭოთა ავიატორები კვლავაც განამტკიცებენ საჰაერო ფლოტის ძლიერებას, ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის სადარაჯოზე. ჩვენი თვითმფრინავმშენებლები წინ მიუძღვიან მსოფლიო მეცნიერებას, ჩვენი მფრინავები ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად და ყველაზე მაღლა დაფრინავენ.

საბჭოთა ავიატორები და თვითმფრინავმშენებლები თვითმფრინავმშენებლობაში, ფრენის ხელოვნებაში მოპოვებული ახალი მიღწევებით ეგებებიან საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისათვის მთელი მზადება ჩვენში მიმდინარეობს საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერების, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების სრულყოფის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების შესახებ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოთხოვნების საუკეთესოდ შესრულებისათვის საბრძოლველად მთელი პირადი შემადგენლობის მობილიზაციის ნიშნით.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის ცენტრალური მოვლენა იქნება საავიაციო პარადი, რომელიც ყოველწლიურად იმართება ტუშინოს აეროდრომზე.

საყოველთაო-სახალხო საავიაციო დღესასწაული მოსკოვთან დიდი ხანია უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. აქ დედაქალაქის ყველა კუთხიდან მრავალი ასეული ათასი ადამიანი ჩამოდის. ისინი თავს იყრიან ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საფრენ ველზე, რათა პატივი სცენ სტალინურ შევარდნებს, დატკბნენ მათი ფრენის ოსტატობით, შეამოწმონ საბჭოთა საავიაციო ტექნიკის მიღწევები.

ისევე როგორც ყოველთვის, დღესასწაულის დასაწყისს გვამცნობს ასი ქვემეხის 20 საარტილერიო ზალპი. საბჭოთა კავშირის ჰიმნის გუგუნში ცაზე გამოჩნდებიან მედროშე თვითმფრინავები. ისინი აეროდრომის თავზე გადაატარებენ დიდი სტალინის პორტრეტს, რესპუბლიკების 16 დროშას და 8 საავიაციო ალამს.

„იაკებს“ მიჰყვება „უტ-2“ თვითმფრინავების არაჩვეულებრივი მწყობრი. ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ახალგაზრდა მფრინავები გამოთქვამენ საბჭოთა ადამიანების გრძნობებს, ისინი თავიანთი თვითმფრინავებით ლაჟვარდ ცაზე დაწერენ სიტყვებს: „დიდება სტალინს“.

შემდეგ დაიწყება ჯგუფური პილოტაჟი. პილოტაჟს ხუთი თვითმფრინავით შეასრულებენ ქალები. მათ შეცვლის „იაკ-18“ 24 თვითმფრინავი. ისინი აეროდრომს მოადგებიან კილვატერის მწყობრით და პილოტაჟის სხვადასხვა ფიგურას შეასრულებენ სპირალური ტრაექტორიით.

ამის შემდეგ საჰაერო სცენაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოვლენ პლანერისტები ამხ. ანტონოვის მეთაურობით. ისინი ჯერ უჩვენებენ ჯგუფურ პილოტაჟს სამი პლანერით, შემდეგ ხუთით, მერმე ზოგი მათგანი უჩვენებს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს.

მეორე განყოფილებაში თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ სამხედრო მფრინავები. სოციალისტური შრომის გმირის იაკოვლევის კონსტრუქციის თვითმფრინავი გვარდიის ლეიტენანტ ნეჩაევის პილოტობით შეასრულებს უმაღლესი პილოტაჟის კომპლექსურ ფიგურებს. მეორე მფრინავი — გვარდიის უფროსი ლეიტენანტი კოვალიოვი მიქოიან-გურევიჩის კონსტრუქციის თვითმფრინავით აგრეთვე უჩვენებს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს.

საინტერესო ნომერს შეასრულებენ მფრინავები — კაპიტანი ზაბაევი, ლეიტენანტები იურკო და ზაიცუზინი სოციალისტური შრომის გმირ ლავოჩკინის კონსტრუქციის თვითმფრინავებით. ინდივიდუალური პილოტაჟის შემდეგ ისინი ჯგუფურ პილოტაჟს შეასრულებენ. შემდეგ ჯგუფურ პილოტაჟს უჩვენებენ ხუთი თვითმფრინავის შემადგენლობით გვარდიის პოლკოვნიკი ჩუპიკოვი, მაიორი კილეინიკოვი, პოდპოლკოვნიკები ბელიკოვი და გუდკოვი და გვარდიის პოდპოლკოვნიკი ლუცკი.

მათ შეცვლის „იაკების“ ცხრეული, რომელთა პილოტები იქნებიან გვარდიის პოდპოლკოვნიკი შულჟენკო, კაპიტანი გრომოვი, ლეიტენანტი ბოგაჩოვი, კაპიტანი სალნიკოვი, უფროსი ლეიტენანტი ალექსეევი, უფროსი ლეიტენანტი მაიოროვი, მაიორი ონოფრიენკო, უფროსი ლეიტენანტები კუზნეცოვი და ვასილიევი, რომლებიც უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების კომპლექსს შეასრულებენ.

ჰაერში დიდი „ბრძოლა“ გაჩაღდება. ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს 17 თვითმფრინავი, მათ ნაწილს რეაქტიული ძრავები ექნება. ჯგუფებს მეთაურობენ კაპიტანი ევსეენკო, მაიორი ბილიუკინი, უფროსი ლეიტენანტი ლობანოვი.

ამ ნომრის შემდეგ აეროდრომზე გადაიფრენენ ბომბდამშენებისა და რეაქტიული ავიაგამანადგურებლების კოლონები.

მესამე განყოფილებაში გამოვლენ პარაშუტისტები. ორი პარაშუტისტის სანიმუშო გადმოხტომის შემდეგ სპორტსმენები უჩვენებენ გადაბრუნებული თვითმფრინავებიდან ხტომას. თვითმფრინავთა მეორე ჯგუფიდან გახანგრძლივებულ ნახტომებს გააკეთებს ხუთი პარაშუტისტი. მათ შემდეგ გაიხსნება 15 სხვადასხვაფერი პარაშუტი. მრავალადგილიანი პლანერიდან ამ ჯგუფურ გადმოხტომაში მხოლოდ და მხოლოდ ქალები მიიღებენ მონაწილეობას.

ნაჩვენები იქნება მრავალი სხვა ნომერი: საპარაშუტო დესანტის, ტექნიკის ჩამოშვება, პლანერების ბუქსირება და სხვ.

სტალინური ავიაციის დღესასწაული ტუშინოში იქნება საბჭოთა საჰაერო ფლოტის მიღწევათა დათვალიერება, ტექნიკისა და ოსტატობის, საჰაერო ბრძოლის უძნელესი ამოცანების გადაწყვეტის ცოდნის დათვალიერება. ეს დღესასწაული აგრეთვე იქნება სტალინურ შევარდენთა თავისებური ანგარიში ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, დიდი სტალინის წინაშე. აი ამიტომ მომავალი საავიაციო პარადის თითეული მონაწილე ამჟამად გულმოდგინედ ემზადება ამ პასუხსაგები გამოცდისათვის. მფრინავები, პარაშუტისტები ამ დღეს გვიჩვენებენ, რომ მათ უნარი აქვთ მართონ თანამედროვე საავიაციო ტექნიკა, ცხადყოფენ თავიანთ სიყვარულსა და მადლობას სამშობლოსადმი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, საბჭოთა ავიატორების საუკეთესო მეგობრის, ბრძენი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინისადმი. (საქდესი).

# თურქეთი დღეს*

(ჟურნალისტის შენიშვნები)

## თურქული პრესა

ყოველმა კულტურულმა ადამიანმა იცის, რომ ბურჟუაზიული პრესა ცრუა, გატაცებულია სენსაციით, მოსყიდულია და წერს იმას, რასაც კაპიტალის მაგნატები უბრძანებენ.

მაგრამ თურქულმა რეაქციულმა პრესამ უსირცხვილო სიცრუის, ცილისწამების, სენსაციურობისა და გონებასიჩლუნგის ყოველგვარ რეკორდს გადააჭარბა. საკმარისია გადაათვალიეროთ თუნდაც რამდენიმე დღის რეაქციული თურქული გაზეთები, მათ შორის „ოპოზიციურიც“, წაიკითხოთ წარმოუდგენელი აბდაუბდა, რაც იქ ჩვეულებრივად იბეჭდება ვეებერთელა და მყვირალა, მთელ გვერდზე გადაჭიმული სათაურებით, რომ დარწმუნდეთ ასეთი დახასიათების სისწორეში.

და ყოველთვის, თურქული პრესის გააფთრებული და ღვარძლიანი თავდასხმების ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

1948 წლის დეკემბერში ანკარის ერთ საგაზეთო კიოსკთან არაჩვეულებრივად ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ამ დღეს მოქალაქეთა ყურადღება მიიპყრო სტამბოლის გაზეთების ვეებერთელა ანშლაგებს, რომლებშიც ნათქვამი იყო: „საბჭოთა რუსეთი მესამე მსოფლიო ომისათვის ემზადება. საბჭოთა დივიზიების მოძრაობა ბულგარეთსა და რუმინეთზე გავლით იუგოსლავიის საზღვრებისაკენ“.

ერთ-ერთი გაზეთი „გეჯე ფოსტასი“ წერდა: „ბულგარეთში პური მხოლოდ კომუნისტებს ეძლევათ. ბულგარეთში შიმშილობაა. ხალხი ღელავს და უკმაყოფილოა. მზადდება შეიარაღებული აჯანყება წითლების წინააღმდეგ“.

შეკრებილთა შორის შიში და შეშფოთება შევნიშნე: გასაგებიც იყო! ყველა ქვეყნის ხალხებს, მათ შორის თურქ ხალხსაც, მშვიდობა სურთ, აქ კი უეცარი ცნობაა, ომი მზადდებაო.

ერთი ინტელიგენტი თურქი ხალხში იდგა და ამ „ცნობებს“ კითხულობდა. შემდეგ ჩემთან ერთად მოშორდა კიოსკს, ალბათ თავისი თანამემამულე ვეგონე, და მითხრა: „მე მაინც არ მჯერა ეს. საბჭოთა რუსეთი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს. სისულელეა, ასეთი რამ შეუძლებელია“.

„თვითონ განსაჯეთ, — განაგრძობდა უცნობი თანამოსაუბრე, — გაზეთი წერს, ბულგარეთში პურს მხოლოდ კომუნისტებს აძლევენო. ეს ხომ სისულელეა. რამდენადაც ვიცი, ბულგარეთში ექვს მილიონამდე კაცი ცხოვრობს. ვთქვათ, ნახევარ მილიონამდე კომუნისტია. გამოდის, რომ ხუთ მილიონ-ნახევარი კაცი შიმშილით იხოცება. ეს აბსურდია!“

„დიახ, თქვენ მართალი ხართ“, — ღიმილით ვუპასუხე.

ამგვარ სენსაციურ ცნობებს ხშირად შეხვდებით თურქულ პრესაში. გაზეთები თურქ ობივატელებს თავში უჭედავენ ერთსა და იმავე აზრს, რომ საბჭოთა კავშირი „იმპერიალისტური ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვის, ხალხთა დამოუკიდებლობას ემუქრება, თურქეთის დაპყრობას ცდილობსო“. ეს ავბედითი პროპაგანდა, რომელიც წარმოებს ამერიკელი რეაქციონერების მითითებით, თურქი ფაშისტების აქტიური მონაწილეობით, და შთაგონებულია ომის სისხლიანი გამჩაღებლის იალჩინის მიერ, რომელიც შეერთებულ შტატებს მოუწოდებს ატომური ბომბები დააყარონ საბჭოთა კავშირს, თავის საზიზღარ საქმეს აკეთებს. ეს პროპაგანდა, აბრიყვებს იმათ, ვინც ნაკლებად აზროვნობს და წაკითხულს კრიტიკულად არ უდგება. ისინი კი, ვისაც, საგაზეთო კიოსკთან ჩემი უცნობი თანამოსაუბრის მსგავსად, აზროვნების უნარი აქვს და იცის სიმართლე საბჭოთა ქვეყნის შესახებ, რომელიც ომის გამჩაღებლებს ამხილებს და მიისწრაფვის მტკიცე მშვიდობისაკენ ასეთი ადამიანები იძულებული არიან ან დუმდნენ, რადგან დაშინებული არიან „თურქეთის დემოკრატიის“ მიერ, ან ბორკილგაყრილნი სხედან საპყრობილეებში.

1944 წელს თურქეთში გამოვიდა თურქი პროგრესული მწერალი ქალის სუათ დერვიშის ბროშურა: „რატომ ვარ საბჭოთა კავშირის მეგობარი“.

ბროშურის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „საბჭოთა კავშირისადმი ჩემი მეგობრობა ისეთი გრძნობაა, რომელიც არ მინდა დავფარო, რომელსაც გაბედულად და გულახდილად გამოვთქვამ“.

მაგრამ ასეთი ხმები თანამედროვე თურქეთში იშვიათია. საკმარისია გამოვიდეს რომელიმე პროგრესული ბროშურა და გაზეთი, რომ მას გააფთრებით ნაფლეთებად აქცევენ კიოსკებთან თურქი ფაშისტები, რომლებსაც „კეთილშობილ თურქ ახალგაზრდობას“ უწოდებენ.

მარტო 1946 წლის დეკემბრიდან 1948 წლის აპრილამდე თურქეთში დახურეს 15-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი, მათ შორის გაზეთები: „ტანი“, „24 საათი“, „ჰიური“, „ზინჯირლი ჰურიეთი“, „მარკო-ფაშა“, „სესი“, „გეჯეზე“ და სხვები. ამ გაზეთებს სხვადასხვა ქალაქების ქუჩებში წვავდნენ ან ფეხქვეშ თელავდნენ ფაშისტი დემონსტრანტები. დარბევის მეორე დღეს რეაქციული თურქული გაზეთები სიხარულით წერდნენ „ხალხის აღშფოთებაზე“, რასაც თითქოს პროგრესული გაზეთები იწვევენ, ხოლო თურქული ოფიციოზი „ულუსი“ იქამდე მივიდა, რომ წერდა, თითქოს გაზეთი, „მარკო-ფაშა“ (რომელიც, აქვე უნდა ითქვას, თურქ სპეკულანტებსა და მდიდარ ბობოლებს ამხილებდა) „მუშების აღშფოთებას“ იწვევდაო (აღსანიშნავია, რომ გაზეთ „მარკო-ფაშაში“ თანამშრომლობდა საბაჰატინ ალი).

თურქეთის პოლიციამ სტამბოლში ყველა სტამბის პატრონი გააფრთხილა, რომ, თუ მათ დაბეჭდეს „ზინჯირლი ჰურიეთის“ მსგავსი გაზეთები, პოლიცია პასუხს არ აგებს „მათი ქონების დაცვისათვის“. ასეთია თურქეთში „პრესის თავისუფლება“, რომელზეც უტიფრად და ტრაბახით წერენ თურქი რეაქციონერი ჟურნალისტები.

მიუხედავად თურქული გაზეთების სენსაციური ხასიათისა, რომლებმაც გახრწნილი დასავლეთის ბულვარული გაზეთების ყველა თავისებურება გადმოიღეს, მათ დიდი ტირაჟი არა აქვთ. გაზეთების მფლობელნი, რომლებიც დაინტერესებული არიან მოგების მიღებით, მკითხველთა მოსაზიდავად სხვადასხვა განსაკუთრებულ ფანდებს მიმართავენ. მაგალითად, გაზეთმა „სონ ტელეგრაფმა“ გამოაცხადა, ყოველ მკითხველს შეუძლია გამოგზავნოს გაზეთში თავისი ფოტოსურათი რა პოზითაც სურს და ფოტოსურათი დაიბეჭდებაო. ჰეროსტრატის ახლანდელმა შთამომავლებმა, გატაცებულებმა სურვილით, რომ ერთ დღეს მაინც გაზეთით გაეთქვათ სახელი, იწყეს თავიანთი ფოტოსურათების გზავნა. რა სახეს არ ნახავდით გაზეთის ფურცლებზე — ჩასუქებულსა და გამხდარს, გაღიმებულსა და მოღუშულს, ხნიერსა და ახალგაზრდას, წელამდე და მთელი ტანით გადაღებულს, ქუდით და უქუდოდ. ერთი დღის გმირები, ნათესავნაცნობებიანად, ყიდულობდნენ გაზეთებს, ტირაჟი გადიდდა, მაგრამ მალე ინტერესი დაიკარგა და გაზეთი ისევ მცირე ტირაჟით დარჩა. ასეთსავე ხერხს მიმართავენ გაზეთები „სონ საათი“, „ვაკითი“ და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დემოკრატიული გაზეთები, მაგალითად „ზინჯირლი ჰურიეთი“, „გეჯეზე“, „სესი“ და სხვები, სრულიად უკონკურსოდ რამდენიმე საათში იყიდება და მათი ტირაჟი რეაქციული გაზეთების ტირაჟს 3-4-ჯერ აღემატება.

## მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მდგომარეობა

საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია დაწვრილებით აიწეროს თურქი ხალხის ცხოვრება, მშრომელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელსაც ართულებს მზარდი სიძვირე.

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სამუშაო დღე ჩვეულებრივად 10-დან 18-მდე საათს უდრის. რასაკვირველია, შრომის დაცვისათვის არავითარი მზრუნველობა არ არის. ეგრეთ წოდებული პროფკავშირები მხოლოდ საწარმოთა მფლობელების ინტერესებს ემსახურებიან. ამ პროფკავშირში „არჩეული“ „მუშები“ მეწარმეებისაგან მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე სხვა მუშები და ამიტომ მათ არასოდეს არ აინტერესებთ თავიანთი ამხანაგების მძიმე ხვედრი. უმუშევრად დარჩენის საფრთხე თავს დასტრიალებს ყველა მუშას. გაფიცვები აკრძალულია დაპატიმრების შიშით.

მუშათა მცირე ხელფასისა და ცუდი კვების შედეგად (ხშირად კვება განისაზღვრება ხმელი პურით, ხახვითა და რამდენიმე მარცვალი ზეთისხილით), საწარმოებში ანტისანიტარიისა და მძიმე საბინაო პირობების შედეგად თურქეთში მძვინვარებს ისეთი სოციალური უბედურება, როგორიცაა ტუბერკულოზი. ტუბერკულოზისაგან, თვით თურქული პრესის აღიარებით, ყოველ წლიწადს 50 ათასამდე კაცი კვდება.

სამი სულისაგან შემდგარ ოჯახს რომ შეეძლოს ცოტად თუ ბევრად ასატან პირობებში იცხოვროს (ტანისამოსისა და ფეხსაცმლის შეძენაზე რომ არ ვილაპარაკოთ), ამისათვის თვეში საჭიროა სულ მცირე 250-300 ლირა. კვალიფიციური მუშა კი სულ ბევრი 160-180 ლირას იღებს. დანარჩენი მუშების ხელფასი 100-120 ლირას არ აღემატება. ეს თანხა კიდევ უფრო მცირდება უამრავი იძულებითი გამოქვითვით. სოფლის მასწავლებლის ხელფასი თვეში 100 ლირას არ აღემატება, ცხადია, თუ როგორი იქნება მისი ცხოვრება.

ინტელიგენციაში უმუშევრობა მეტად დიდია. საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ბევრი ახალგაზრდა იძულებულია სტამბოლის ნავსადგურში მტვირთავად იმუშაოს. უმუშევართა რიცხვი მარტო სტამბოლში, არასრული ცნობებით, 20 ათას კაცს აღწევს. უმუშევრობის შედეგად მატულობს დანაშაულობა, მკვლელობა, ქურდობა, მძარცველობა.

გლეხების მდგომარეობა, ისეთებისაც კი, რომლებსაც მიწა აქვთ და, როგორც ზემოთ ვთქვი, ადამისდროინდელი კავით ჩიჩქნიან მას, მძიმეა. უმიწაწყლო გლეხები, რომელთა რიცხვი დიდია, იძულებული არიან მეტად მცირე ხელფასზე იმუშაონ თურქ მემამულე-ბეგებთან. თურქეთის მთავრობამ 1945 წელს მიიღო კანონი „გლეხებისათვის მიწის მიცემის შესახებ“, მაგრამ იგი დღემდე არ განხორციელებულა.

მიწისა და სარწყავი წყლის ნაკლებობის გამო თურქეთის სოფელში ხშირად ხდება შეტაკებები. ჟანდარმერია სასტიკად უსწორდება „მოჯანყეებს“, მასობრივად სცემს და აწამებს მათ. ამას არაერთგზის იუწყებოდნენ თვით თურქული რეაქციული გაზეთები.

გაზეთი „ჰურიეთი“ 1948 წლის 18 მაისს წერდა, რომ სოფლის მოსახლეობა ძალიან ცოტა მანუფაქტურას იღებს (წელიწადში თითო კაცზე მეტრ-ნახევარს). გაზეთი ირონიულად შენიშნავდა, ეს მიცვალებულის შესახვევადაც არ კმარაო.

ჯანმრთელობის დაცვა ყოვლად უხეიროდ არის დაყენებული. სოფლებში, როგორც წესი, საექიმო პუნქტები თითქმის არ არის. ექიმები ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ. მე თვითონ მინახავს ბევრი გლეხი, რომლებიც ექიმთან ანკარაში ჩამოდიოდნენ 100 კილომეტრი მანძილიდან ცხადია, ეს ყველა გლეხს არ შეუძლია.

თურქეთის სოფელში გავლისას, დედაქალაქის ახლოსაც კი, ნახავთ ტრახომით დაავადებულ ბავშვებს. ამ ავადმყოფობის განკურნება, როგორც ცნობილია, სავსებით შესაძლებელია, მაგრამ გლეხები მოკლებული არიან საექიმო დახმარებას, და ბავშვებს ავადმყოფობა უმიზეზდებათ. ამიტომ ბევრი ბავშვი ბრმავდება. ავადმყოფობა სწრაფად ედება მთელ სოფლებს. ხელისუფალნი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, თუმცა ტრახომის მასობრივად გავრცელებაზე თურქული გაზეთები არაერთხელ წერდნენ.

წამლები და პატენტიანი საშუალებანი, რომლებიც ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოაქვთ, ძვირი და მშრომელთათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია.

საავადმყოფოები ძალიან ცოტაა. თურქეთის დედაქალაქში, ანკარაში, მხოლოდ ერთი საავადმყოფოა, სადაც ანტისანიტარია მეფობს, მკურნალობის დონე დაბალია.

## ამერიკელები თურქეთში

თურქეთი ამერიკის სამფლობელო გახდა. იგი ამერიკელ ომის გამჩაღებელთა სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად გადაიქცა. ისინი აწვდიან მას იარაღს, გაჰყავთ გზები, აგებენ აეროდრომებს,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 135, 136.

# პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესზე

**მილანი**, 8 ივლისი. (საქდესი). პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის სამანდატო კომისიამ გამოაქვეყნა შემაჯამებელი მოხსენება კონგრესზე სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირული ცენტრების წარმომადგენლობის შესახებ. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე რეიანომ (საფრანგეთი) განაცხადა, რომ სრული დაზუსტებული ცნობებით კონგრესს ესწრება ყველა კონტინენტის 34 ქვეყნის—სსრ კავშირის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის (გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება), პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ესპანეთის, ფინეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის, ალბანეთის, კვიპროსის, სამხრეთ აფრიკის (ზანგთა და ინდოელთა პროფკავშირები), ვიეტნამის, ცეილონის, ტუნისის, ჩრდილოეთ როდეზიის, სირიის, ლიბანის, ისრაელის, იუგოსლავიის, მექსიკის, გვატემალის, კუბის, კოსტა-რიკის, ჩილის, ბრაზილიის, ბოლივიის, ავსტრალიის პროფკავშირული ცენტრების 225 დელეგატი.

აღნიშნულ დელეგატებს უნდა დაემატოს 8 დელეგატი—ორ-ორი დელეგატი მელითონეთა, მეტყავეთა, ფეიქართა და განათლების მუშაკთა საწარმოო განყოფილებებისაგან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შემავალი 10 ქვეყნის (ჩინეთი, იაპონია, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ კორეა, ინდოეთი, ბირმა, ფილიპინები, პანამა, კოლუმბია, ურუგვაი) პროფკავშირულმა ცენტრებმა ვერ გამოგზავნეს კონგრესზე თავიანთი დელეგატები უმთავრესად იმის გამო, რომ ხელისუფლებმა სათანადო ქვეყნიდან გასვლისა და იტალიაში შესვლის ვიზები არ მისცეს მათ. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირებმა ვერ მოასწრეს დელეგატების გაგზავნა, ვინაიდან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შემადგენლობაში მიღებულ იქნენ მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მილანის კონგრესის გახსნის წინ.

კონგრესზე წარმოდგენილ და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შემავალ პროფკავშირების წევრების საერთო რიცხვი 45-ზე ქვეყანაში შეადგენს 71.786.515-ს. გარდა ამისა კონგრესს „მეთვალყურეებად" ესწრება 14 ქვეყნის — კანადის, ბელგიის, ისლანდიის, ფინეთის, ავსტრიის, სამხრეთ აფრიკის, არგენტინის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, პაკისტანის, ცეილონის, ეკვადორის, გვატემალის, ვენესუელის იმ პროფკავშირული ცენტრების 27 წარმომადგენელი, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში არ შედიან.

საერთაშორისო დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა—ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ, მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციამ, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლები გაგზავნეს კონგრესზე.

• • •

**მილანი**, 8 ივლისი. (საქდესი). პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის დღევანდელ დილის სხდომაზე დამთავრდა დისკუსია აზიის, ავსტრალიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში პროფკავშირული საქმიანობის საკითხის გამო. კამათში გამოვიდნენ ვიეტნამის, კოსტა-რიკის, ჩილის, ალჟირის, ავსტრალიის, ტუნისისა და ეკვადორის პროფკავშირთა დელეგატები.

კონგრესი მხურვალე ოვაციით შეხვდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა დელეგაციას, რომელიც დღეს ჩამოვიდა მილანს. დელეგაციის წევრმა ადილბიშმა მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონგრესის დელეგატებს.

## საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წინადადება

კამათის მსვლელობაში სიტყვა აიღო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „საბჭოთა დელეგაცია მიმართავს პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესს წინადადებით გადაჭრით გამოვიდეს საბერძნეთის პროფკავშირული მოძრაობის 10 მოღვაწე მეზღვაურის დასაცავად.

მუშათა კლასის ერთგული შვილები, ისინი წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მებრძოლები იყვნენ საბერძნეთში ჰიტლერული ოკუპაციის დროს. საბერძნეთის განთავისუფლების შემდეგ ისინი იბრძოდნენ ძისი დემოკრატიზაციისათვის და მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის. თავისი ხალხისადმი თავდადებული სამსახურისათვის ბერძენ მეზღვაურთა ჯგუფს 1948 წელს მონარქისტულ-ფაშისტურმა მთავრობამ სიკვდილი მიუსაჯა. ეს ავაზაკური განაჩენი სისრულეში არ იქნა მოყვანილი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაერივნენ დემოკრატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა. მაგრამ ბერძენ მონარქისტ-ფაშისტებს სწყურიათ ანგარიში გაუსწორონ დაპატიმრებულ და მსჯავრდადებულ მეზღვაურებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონგრესს არ შეუძლია გულგრილად მოეპყროს საბერძნეთის მუშათა მოძრაობის ამ მოღვაწეთა ბედს და პროტესტის ხმა უნდა აღიმაღლოს ბერძენი ამხანაგების აწიოკების წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგაციას წინადადება შემოაქვს, რომ საბერძნეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის მთავრობებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაეგზავნოს მტკიცე პროტესტი სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში გაერთიანებული 71,5 მილიონი მშრომელის სახელით მოითხოვოს მონარქისტულ-ფაშისტური ტერორის უდანაშაულო მსხვერპლთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება".

კონგრესი ერთსულოვნად დაეთანხმა საბჭოთა დელეგაციის წინადადებას.

დილის სხდომაზე კონგრესმა აირჩია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭო, რომელშიც შევიდნენ ყველა პროფკავშირული ცენტრის წარმომადგენლები.

• • •

**მილანი**, 9 ივლისი. (საქდესი). პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის 8 ივლისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია აზიის, ავსტრალიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში პროფკავშირული მუშაობის შესახებ მოხსენებათა გამო.

ვიეტნამის დელეგატმა ლუიუ დუკ ფხომ მოკლედ შეაჯამა შრომის საყოველთაო კონფედერაციაში გაერთიანებულ ვიეტნამის პროფკავშირთა მოღვაწეობის შესახებ მის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიში და ილაპარაკა იმაზე, თუ იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის პირობებში როგორ მტკიცდებიან ვიეტნამის ახალგაზრდა რესპუბლიკის პროფკავშირები.

რუდოლფო გუსმანმა (კოსტა-რიკა) ილაპარაკა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე.

ჩილის დელეგატმა ოკამპომ განაცხადა, რომ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მისი სამშობლო სიღატაკისა და შიმშილობისათვის არის განწირული ადგილობრივი ბურჟუაზიის გამცემლობის გამო, რომელიც საბოლოოდ მიეყიდა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებს.

შემდეგ გამოვიდა „შრომის საერთაშორისო ბიუროს" წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ორგანიზაცია, რომლის წარმომადგენელიც იგია, სავსებით აძლევს თავის თავს ანგარიშს იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირთა ახლანდელ მილანის მსოფლიო კონგრესს.

ალჟირის დელეგაციის წევრმა გესუიმ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ აფრიკის მშრომელებს საკუთარი და უცხო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მაღლა უჭირავთ დროშა მუშათა ერთიანობისა, რომლის განსახიერებაც არის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია. ალჟირისა და მაროკოს მშრომელები მშვიდობას იცავენ და არასოდეს არ გახდებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მტრები, არასოდეს არ დაეთანხმებიან, რომ მათი ქვეყანა და მისი რესურსები გამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებისათვის.

ავსტრალიის პროფკავშირთა წარმომადგენელმა ელიოტმა კონგრესს გადასცა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მეზღვაურთა და დოკერთა მხურვალე ძმური სალამი.

ეკვადორის ინდიელთა პროფკავშირების დელეგატმა ნელა მარტინესმა ილაპარაკა სასტიკ ექსპლოატაციაზე, რასაც ინდიელი მოსახლეობა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში განიცდის. ფორმალურად გაუქმებული მონობა სინამდვილეში კვლავ არსებობს. ბევრგან ინდიელები ყმებივით უხელფასოდ მუშაობენ.

8 ივლისის საღამოს სხდომაზე კონგრესი გადავიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებზე.

• • •

**მილანი**, 9 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ შედგა პირველი სხდომა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ახალი გენერალური საბჭოსი, რომელიც პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესმა აირჩია.

გენერალურმა საბჭომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ლუი საიანი.

როცა კონგრესის საღამოს პლენარულ სხდომაზე თავმჯდომარემ დი ვიტორიომ გენერალური საბჭოს გადაწყვეტილება გამოაცხადა, კონგრესის ყველა დელეგატი ხანგრძლივი ოვაციით მიესალმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს საიანს. ამის შემდეგ რეგლამენტის კომისიის თავმჯდომარემ ტორნტონმა (ავსტრალია) გამოაქვეყნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წესდების დამატების პროექტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. ამ დამატების თანახმად, რომელიც კონგრესმა ერთსულოვნად მოიწონა, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში იქნება 52 ნამდვილი წევრი და 32 კანდიდატი, ნაცვლად 22 წევრისა და 22 კანდიდატისა, როგორც ეს აქამდე იყო. აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი მთლიანად კონგრესის წარმომადგენელი იქნება, და არა გეოგრაფიული ან საწარმოო დაყოფისა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეთა რიცხვი, რომელთაც აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს, გადიდებულია 7-დან 11-მდე.

სხდომის დასასრულს კონგრესმა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: კუზნეცოვი, სოლოვიოვი, კუზნეცოვა, ზერეზინი, ალახვერდიევი, ოლიუნინა (სსრ კავშირი); ფრაშონი, ლე ლეაპი, მონმუსო (საფრანგეთი); დი ვიტორიო და სანტი (იტალია); დანგე (ინდოეთი); ლიუ შაო-ცი, ლიუ ნინ-ი (ჩინეთი); ზუპკა (ჩეხოსლოვაკია); ზავადსკი (პოლონეთი); აპოსტოლი (რუმინეთი); აპრო (უნგრეთი); ვარნკე (გერმანია); რეზა რუსტა (ირანი); არისი (ლიბანი) და ევროპის, აფრიკის, ამერიკისა და აზიის სხვა ქვეყნების პროფკავშირული ხელმძღვანელები.

ტორნტონი (ავსტრალია) აღმასრულებელ კომიტეტში შევიდა საწარმოო განყოფილებათაგან. ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიის ქვეყნების, იაპონიის, კორეისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ადგილები აღმასკომში შეუვსებელი დარჩა მომავალ გადაწყვეტილებამდე.

## დამთავრდა პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესი

**მილანი**, 10 ივლისი. (საქდესი). 9 ივლისს საღამოს დამთავრდა პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესი. უკანასკნელ სხდომაზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა საიანმა გამოაცხადა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის პირველ სხდომაზე მილანში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია ჯუზეპე დი ვიტორიო. ვიცე-თავმჯდომარეებად არჩეული არიან: კუზნეცოვი (სსრ კავშირი), ლე ლეაპი (საფრანგეთი), ლიუ ნინ-ი (ჩინეთი), ლომბარდო ტოლედანო (ლათინური ამერიკა), ბლოკზეილი (ჰოლანდია), დანგე (ინდოეთი), პენია (კუბა), დიალო აბდულა (აფრიკა); ვიცე-თავმჯდომარეების ორი ადგილი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთათვის არის განკუთვნილი, ვაკანტურად არის დატოვებული.

კონგრესი ხანგრძლივი მქუხარე ოვაციით შეხვდა ცნობას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელ პოსტებზე დი ვიტორიოს, კუზნეცოვის, ლიუ ნინ-ის, ლე ლეაპის, დანგეს და სხვა მოღვაწეთა არჩევის შესახებ.

კონგრესი ახალი ოვაციითა და „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდა მშვიდობის, მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისა და ეკონომიური ინტერესების დაცვის, მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცების შესახებ მანიფესტის ტექსტს, რომელიც გამოაქვეყნა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენელმა კრუაზამ. კონგრესმა ერთხმად მიიღო ეს მანიფესტი, აგრეთვე მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის მუშებისა და სხვა პროფკავშირთა წევრებისადმი, რომელთა ლიდერებმა გამოაცხადეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან გასვლის შესახებ.

გარდა ამისა, კონგრესმა მიიღო რეზოლუციები კუზნეცოვისა და სანტის მოხსენებათა გამო საერთო პოლიტიკის შესახებ და მშვიდობის, ხალხთა დემოკრატიული უფლებებისა და საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობისათვის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბრძოლის შესახებ; რეზოლუცია მშრომელთა ეკონომიური და სოციალური ინტერესების დასაცავად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და ეროვნული პროფკავშირული ცენტრების მუშაობის შესახებ; რეზოლუცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებათა შესახებ; რეზოლუცია პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწე ათი ბერძენი მეზღვაურის დასაცავად, რომლებსაც მონარქისტ-ფაშისტებმა სიკვდილი მიუსაჯეს.

რეზოლუციები სხვა საკითხებზე საბოლოო დამუშავებისათვის გადაეცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ ბიუროს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ დი ვიტორიომ წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ ამ კონგრესმა განამტკიცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ძალები და საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები, რომლებმაც მიიღეს ახალი მძლავრი იარაღი მშრომელთა მსოფლიო ერთიანობის განსამტკიცებლად მათს ბრძოლაში თავიანთი უფლებების, თავისუფლების, დემოკრატიისა და მშვიდობის დასაცავად. ახლანდელმა კონგრესმა, თქვა დი ვიტორიომ, ცხადყო, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მუშათა კლასის ერთადერთი ნამდვილი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია თავის რიგებში განახორციელოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ერთიანობა. მან ომის ინგლისელ და ამერიკელ გამჩაღებლებს, რომლებიც იმპერიალისტური რეაქციის ბანაკს უდგანან სათავეში, უჩვენა, რომ ისინი არ არიან მსოფლიოს პატრონები: კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელები მსოფლიოს სოციალისტური ნაწილის თავიანთ განთავისუფლებულ ძმებთან ერთად წარმოადგენენ უძლეველ ძალას, მშვიდობისა და პროგრესის ურყევ დასაყრდენს.

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და მისი მძლავრი დასაყრდენის — პროფკავშირთა დიდი მსოფლიო ფედერაციის განმტკიცების შესახებ დი ვიტორიოს მოწოდებას დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ყველა დელეგატი ფეხზე ადგა და იმღერა „ინტერნაციონალი" და იტალიის პროლეტარიატის ჰიმნი „ბანდიერა როსა". ოვაციის გრიალი ღიდხანს აზანზარებდა დარბაზს.

## ამერიკის საზოგადოებრიობა მოუწოდებს სენატორებს უარყონ ატლანტიკის ხელშეკრულება

**ნიუ-იორკი**, 8 ივლისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების 30 შტატის 216 პედაგოგმა, პროფკავშირულმა მოღვაწემ, მხატვარმა, მწერალმა და მღვდელმა გაუგზავნა სენატორებს წერილი, რომელშიც მოუწოდებენ მათ უარყონ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება და მოლაპარაკების გზით მოაგვარონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უთანხმოება.

„როგორც კერძო მოქალაქენი, რომლებიც წარმოვადგენთ მრავალ შტატსა და სხვადასხვა პროფესიას, — ნათქვამია წერილში, — მოგიწოდებთ მთლიანად გაითვალისწინოთ ის სერიოზული საფრთხე ამერიკის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის, რომელსაც შეიცავს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კავშირი მოგვიახლოებს ომს და დაგვაშორებს მშვიდობას. ამ ხელშეკრულებამ, რომლის დანიშნულებაა ჩვენი ქვეყნისა და ევროპის და მისი ხალხის უშიშროების გაძლიერება, უკვე წარმოშვა ომის შიში ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანის გულში. ჩვენ არ გვსურს, რომ ამერიკის უშიშროება სამხედრო ძალას ემყარებოდეს. თავდაცვის დარგში პაქტით ნაკისრ ურთიერთვალდებულებათა შესრულება ჩვენ მიგვაჩნია გამალებული შეიარაღებისადმი მისწრაფებად. გამალებული შეიარაღება მუდამ იწვევდა ომს. დიდად ვშიშობთ, რომ ჩვენმა მთავრობამ არ გადადგას მცდარი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება თავისუფლების დაკარგვად დაგვიჯდეს და ჩვენი ქვეყანა გადაჩეხოს კატასტროფაში, რომლის თავიდან აცილება შეიძლება...

ამ საშიში სამხედრო კავშირის ნაცვლად ჩვენ უნდა ავირჩიოთ სხვა გზა. ჯერ-ერთი, სრული დახმარება უნდა გავუწიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნებს შორის უთანხმოების მოწესრიგება და მშვიდობის შენარჩუნება. მეორე, ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის უნდა გაგრძელდეს სამშვიდობო მოლაპარაკება. განსაკუთრებით საჭიროა მოეწყოს თათბირი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ჩვენი უთანხმოების პატიოსნად მოგვარების მიზნით. სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა. ამერიკა მზად უნდა იყოს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად შეიტანოს თავისი წვლილი მსოფლიოში ქვეყნების მშვიდობიანი არსებობის უზრუნველყოფის საქმეში.

ამიტომ მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ და დაბეჯითებით მოითხოვოთ, რომ ეს მშვიდობიანი გზები გამოიყენოს ჩვენმა მთავრობამ. ჩვენ გვწამს, რომ ასეთი პოლიტიკა ამერიკელი ხალხის ფართო მხარდაჭერას ჰპოვებს და ახალ იმედს მისცემს ტანჯულ მსოფლიოს".

## ამერიკის იუსტიციის თვითნებობა გრძელდება

**ნიუ-იორკი**, 9 ივლისი. (საქდესი). ფედერალურ სასამართლოში განსახილველად 11 ივლისისათვის დანიშნული ეგრეთ წოდებული „საქმე" ვ. ა. გუბიჩევისა, საბჭოთა დიპლომატისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლისა, რომელიც ამერიკელმა ხელისუფლებმა 4 მარტს უკანონოდ დააპატიმრეს ნიუ-იორკში, გადადებულია 15 ოქტომბრისათვის.

ამერიკის სასამართლო, რომელსაც გუბიჩევისათვის წაყენებული ბრალდების არავითარი დამადასტურებელი საბუთები არა აქვს, სისტემატურად გადასდებს ხოლმე ამ „საქმის" განხილვას, რომელიც შეთითხნილია ამერიკის დაზვერვის მიერ საბჭოთა კავშირისადმი მტრული მიზნებით.

## სტუდენტთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით კვირას, 10 ივლისს, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც ხუთასამდე კაცი იღებს მონაწილეობას.

შეჯიბრება ტარდება სპორტის შემდეგ სახეებში: მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფეხბურთში, სროლასა და ქართულ ჭიდაობაში. პირველ დღეს წარჩინებულმა სტუდენტმა გ. დევდარიანმა (ქუთაისი) ას მეტრზე სირბილში პირველი ადგილი დაიკავა. საუკეთესო შედეგს მიაღწია აგრეთვე სტუდენტმა ქალმა თ. მაქაცარიამ (სოხუმი).

ლამაზად და ოსტატურად ჩაატარა სიმაღლეზე ხტომა ი. კაჭარავამ (სოხუმი), შუბის ტყორცნაში პირველობა მოიპოვა სტუდენტმა ა. პლიევმა (გორი). მძლეოსნობაში პირველი დღის შეჯიბრების შედეგად წინ მიდიან გორის, ქუთაისისა და სოხუმის გუნდები.

სროლის ტექნიკის დაუფლების კარგი შედეგი გამოამჟღავნა გორელ სტუდენტთა გუნდმა, რომელიც ჯერჯერობით პირველობას ინარჩუნებს. ქუთაისელმა კალათბურთელებმა ანგარიშით 79:23 დაამარცხეს გორელი კალათბურთელები.

გუშინ დილიდან გრძელდებოდა სპარტაკიადა. ბირთვის კვრაში პირველობა მოიპოვა სტუდენტმა რ. ხუროძემ (ქუთაისი). სიგრძეზე ხტომაშიც პირველობა ქუთაისელმა სტუდენტმა ქალმა დ. ცქიფურიშვილმა დაიკავა. 500 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა სტუდენტმა ქალმა ლ. ოძებაშვილმა (გორი).

სპარტაკიადის პირველმა დღეებმა გვიჩვენეს, რომ ადგილებზე მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად სტუდენტები შესანიშნავად ათავსებენ სწავლასთან ფიზკულტურულ წრეებსა და სექციებში მეცადინეობას.

ორი დღის დაძაბული ბრძოლის შედეგად წინ მიდიან გორის, სოხუმისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა გუნდები. სპარტაკიადაში მონაწილე სტუდენტებმა გუშინ დაათვალიერეს დედაქალაქის მნიშვნელოვანი ადგილები, საღამოს ისინი თეატრებსა, კინოებსა და ბაღებში ისვენებდნენ.

სპარტაკიადა გრძელდება.

**ა. გოცირიძე**

## „ბოლშევიკი" № 6

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „ბოლშევიკი" № 6.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — „სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები", **ვ. ონიანი**—ვ. ი. ლენინის თხზულებათა IV ტომი, **ა. ნიკოლაძე**— „პუშკინი და ქართული კულტურა", **გ. ჩაჩიბაია** — „კომუნისტების პოლიტიკური სწავლება", **გ. გამსახურდია** — „ა. წულუკიძე ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ", **ი. ჩხიკვიშვილი** — „თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები იმპერიალიზმის სამსახურში".

კონსულტაცია — **რ. მელაძე** — „სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია".

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — **გ. ჭელიძე** — „საბჭოთა პალეონტოლოგიური მეცნიერების ახალი მიღწევა", ჟურნალ „მნათობის" რედაქცია სუსტად იბრძვის ლიტერატურული კრიტიკის იდეურობისათვის".

## განმარტება

საქართველოს სსრ შემნახველ სალაროთა მუშაკების საყურადღებოდ ცხადდება, რომ „კომუნისტის" 9 ივლისის ნომერში (№ 135) მოთავსებული 1948 წლის 2%-იანი სახელმწიფო სესხის მოგებათა მესამე ტირაჟის ცხრილი საცნობოა. ცხრილის პირველ სვეტში სერია 009512 ობლიგაციის მომრად აღნიშნული უნდა იყოს „33*)".

**პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი**

# თურქეთი დღეს

(დასასრული)

წვრთნიან თურქეთის არმიას. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ანატოლიის სააგენტოს ხელმძღვანელმა ჩემთან საუბარში პირდაპირ განაცხადა, რომ „ამერიკის მისიის ხელმძღვანელი გენერალი მაკბრაიდი თურქეთში იმისათვის ჩამოვიდა, რომ თურქეთის არმიას სამხედრო საქმე ასწავლოსო".

თურქეთში სრულიად თავისუფლად, ვიზების გაუფორმებლად, ჩამოდიან ამერიკელი ბიზნესმენები — სხვადასხვა ფირმების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლები, ვაჭრები, მეწარმეები, ჩვეულებრივი საქმოსნები, რომლებიც თავიანთ საქმეებს აჭახრაკებენ და ამას ფარავენ მაღალფარდოვანი დეკლარაციებით ამერიკული „დახმარების" შესახებ ყბადაღებული „მარშალის გეგმის" სახით.

ამერიკელმა „კეთილისმყოფელებმა" თურქეთის ბაზარი აავსეს ჩაწოლილი საქონლით, როგორიცაა საღეჭავი რეზინი, ნაილონის წინდები, მტვერსასრუტავები, ავტომანქანები და სხვა, ხოლო ამის სამაგიეროდ მათ 1947-დან 1949 წლამდე თურქეთის სახელმწიფო ბანკიდან ოქროს მარაგის ნახევარზე მეტი გაზიდეს.

ამ „დახმარებამ" უკვე გამოიწვია თურქეთის მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს დახურვა, რომლებმაც ამერიკულ საქონელთან კონკურენციას ვერ გაუძლეს.

ამერიკელებმა ანკარის საუკეთესო სახლებში მოიკალათეს. თავიანთი ოჯახებიანად ჩამოვიდნენ და ისე ცხოვრობენ „დამოუკიდებელი თურქეთის" დედაქალაქში, როგორც საკუთარ სახლში. ამერიკელები ძალიან თავაშვებულად იქცევიან ქუჩებშიც, კინოშიც, პარკებშიც, სრულიად დაუსჯელად არღვევენ თურქეთის ხელისუფლების მიერ დადგენილ წესებს.

მოწინავე და პროგრესული თურქები, რომლებსაც ნამდვილად უყვართ თავიანთი ქვეყანა და თავიანთი ხალხი, მეტად შეწუხებული არიან თურქეთში ამერიკელთა უტიფარი პარპაშით. გულში იფარავენ სიძულვილს იმათდამი, ვინც მათი ქვეყანა ასეთ დამამცირებელ მდგომარეობამდე მიიყვანა.

### თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ

მე, რასაკვირველია, არ მომეპოვება ზუსტი ცნობები თურქეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. თურქეთის მთავრობა ასეთ ცნობებს არ აქვეყნებს. მათ საგანგებოდ დაფანტეს ქართველები მთელ თურქეთში. მე მომიხდა ყოფნა თურქეთის ერთ რაიონში, სტამბოლიდან 100-120 კილომეტრზე, სადაც ვნახე ქართული სოფელი და ქართულად ვესაუბრე იქ მცხოვრებ ქართველებს. ამ რაიონს იალოვა ეწოდება. ეს ლამაზი საკურორტო ადგილია, გოგირდის წყაროებით. იალოვადან 10 წუთის სავალზეა სოფელი „გეოდჟე დირე" („ცისფერი ბალონები"), სადაც 50 ოჯახი ცხოვრობს. ერთმა მოხუცმა, რომელიც ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა, მითხრა, რომ ისინი ართვინის რაიონის სოფელ მარაზეთიდან არიან აქ გადმოსახლებულნი. ახალგაზრდა გლეხები ქართულად უფრო ცუდად ლაპარაკობენ. საუბარში ხშირად ჩაურთავენ ხოლმე თურქულ სიტყვებს. გლეხები ღარიბად ცხოვრობენ.

ქართული სკოლები, რა თქმა უნდა, არ არის. ბავშვები თურქულ სკოლაში სწავლობენ. მოხუცმა მითხრა, რომ იალოვას რაიონში ხუთი ქართული სოფელია, სულ ამ სოფლებში 400-მდე ოჯახი ცხოვრობს.

ერთ-ერთმა ქართველმა მითხრა, ქართული სოფლები ბურსის რაიონშიც არისო და დაასახელა სოფელი გემლეგი, სადაც 60-მდე კომლი ყოფილა.

სტამბოლში შევხვდი მოხუც ქართველ კათოლიკე მღვდელს, რომელიც ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა.

მას ძალიან აინტერესებდა საქართველოს ცხოვრება, ბევრ რამეს მეკითხებოდა. მან გვაცნობა რომ მრავალი წლის წინათ სტამბოლში ჩავიდა და მას ესაუბრა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი. აკადემიკოსის გარდაცვალება რომ შეიტყო, შეწუხდა და თქვა, ეს ამბავი თურქეთში მცხოვრებ ყველა ქართველის დიდ მწუხარებას გამოიწვევსო.

* * *

ყოველივე ზემონათქვამს, რასაკვირველია, ოდნავადაც არა აქვს დღევანდელი თურქეთის ცხოვრების სრული აწერის პრეტენზია.

ეს მხოლოდ ცალკეული ჩანაწერებია იმ ფაქტებისა და ამბებისა, რომლებიც ჩემს თვალწინ ხდებოდა ამ ქვეყანაში ყოფნისას.

ჩვენ, საბჭოთა ჟურნალისტები, როგორც ობიექტური მეთვალყურენი, ვხედავდით და ვგრძნობდით თანამედროვე თურქეთის „დემოკრატიას". თურქეთის დუხჭირ შავბნელ სინამდვილეს ჩვენი დიადი ქვეყნის ცხოვრებას რომ ვადარებდით, უსაზღვრო სიამაყე გვიპყრობდა, მღელვარებით ვფიქრობდით საბჭოთა სამშობლოზე, მოწინავე კულტურის ქვეყანაზე, სადაც კაშკაშებს ნამდვილი თავისუფლების მზე, სადაც ხალხი, დიდი სტალინის წინამძღოლობით ახალ ცხოვრებას ქმნის და კომუნიზმის მოელვარე მწვერვალებისაკენ მიდის.

რა ბედნიერება იყო, როცა თურქეთის მატარებელი ჩვენს საზღვარს მოადგა და საბჭოთა მესაზღვრეები დავინახე.

უკან დარჩა ამერიკანიზებული თურქული რეაქციის სულის შემხუთავი ატმოსფერო.

**ი. რუხაძე**

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ამით აცხადებს, რომ ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე მედალოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მესამე საფერშლო სკოლა** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1949-50 სასწავლო წლისათვის პირველ კურსზე.

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ ფერშლებს. სკოლა დამთავრებულთ უფლება ეძლევათ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო 5%-იან გამოშვებაში მოხვედრილი მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ.

სკოლაში მიიღებიან როგორც ქალები, ისე ვაჟები, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო და საშუალო სკოლა.

საერთო წესით უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ფრიადოსნები, რომლებსაც 8 კლასი დამთავრებული აქვთ 1948-1949 წლებში. დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში, 3. მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია), 4. სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს საშუალო სკოლის 8 კლასის ფარგლებში. ჩარიცხული მოსწავლეები სტიპენდიას მიიღებენ საერთო წესით.

განცხადება მიიღება 20 აგვისტომდე საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა, 3. სამი ფოტოსურათი, 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

მისაღები გამოცდები დაიწყება 22 აგვისტოდან.

სკოლის მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა № 3.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი"



გრძელდება ხელისმოწერა 1949 წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე ცენტრალურ რესპუბლიკ. საოლქო. და საქალაქო ჟურნალ-გაზეთებზე

ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში და კავშირგაბმულობის სააგენტოებში.

იჩქარეთ ჟურნალ-გაზეთებზე დროულად ხელისმოწერისათვის, სასურველია გააფორმოთ გრძელვადიანი ხელისმოწერა, რომელიც უზრუნველყოფს გამოწერილ გამოცემათა წესიერ ჩაბარებას.

„სოიუზპეჩატი"

მშობლები იოსებ, სონა, ძმები ალექსანდრე, ვანო, ფრიდონი, დები მარო, ელენე, ოჯახებით, ნ. კევლიშვილი იუწყებიან **გიორგი იოსების-ძე კევლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-VII სოფ. გიორგიწმინდაში (საგარეჯოს რ.).

ი. ალასანია, ი. დანელია, ს. ლაპუროვი, ნ. გაბელია, ტ. ხვიჩია, შ. გუგუშვილი, ტ. ვილმანი, ქ. შარვაშიძე, ა. ხოჭავა, გ. მანჯგალაძე, შ. ჯლამაძე, თ. გეგია, ნ. შანიძე, ლ. ნაროუშვილი, ნ. სამადაშვილი, ნ. მამაცაშვილი, ვ. სიმონიანი, ო. გვათუა, ვ. ხაბურზანია, დ. დალიაშვილი, ვ. ქავთარაძე იუწყებიან მ. ზაზიკაშვილის დედის **სოფიოს** გარდაცვალებას.

ოჩამჩირის რაიჯანგანყოფილების საავადმყოფოს და პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. ზაზიკაშვილს მისი დედის **სოფიოს** გარდაცვალების გამო.

შვილები ბაგრატ, კატო, დიმიტრი, რძლები ბუზოლ, ტატიანა, სიძე გრიგოლ შედანია ოჯახებით იუწყებიან **ალექსანდრე იორდანეს-ძე ჯაბუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-VII ქ. ზუგდიდში, ლერმონტოვის, 13.

დ. რომელაშვილი, ვ. ჭიაურელი, ი. მირცხულავა, ს. ბარამიძე, კ. რაზმაძე, ვ. ჯაოშვილი, ო. ეგაძე, რ. წულუკიძე, ფ. ფიჩხაძე, შ. ჯეჯელავა, ვ. ჩადაძე, ვ. გრძელიძე, ვ. ტრაპაიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დ. ჯაბუას მისი მამის **ალექსანდრეს** გარდაცვალების გამო.

ონისე, რამაზ, გიორგი და ვახტანგ ბოგველიშვილები ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ილიას-ძე ბადრიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12-VII, 6 ს. ხეთაგუროვის, 17.

პ. გუნიავა, ბ. თათარიშვილი, დ. იობაშვილი იუწყებიან პ. ახაიძის მამის **სპირიდონის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII, ს. ჯალაურთაში (საჩხერის რაიონი).

რძალი თამარ ლორთქიფანიძისა, ძმისწულები ნოდარ, მერაბ და გიორგი ლორთქიფანიძეები იუწყებიან **იასონ მერაბის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-VII, 8 ს. გამოსვენება 14-VII, 6 ს. ფურცელაძის, 12.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, უოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მიღების და გამოშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 ÜӘ 01861